

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

საქართველოს ისტორიის მკვლევართა შტაბი

A. ისტორიკოსები

ბასილი უოსნოძე

სსრკება მეუთ-მეუისა თამარისი

გამდგმა

ოვანე ჯავახიშვილისა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი

1944

თკ 554
3

შ. 2015-17028

თ K 554
3

ბ. ილი აზოსმოძრაი


ცხორება

მეფეთ-მეფისა თამარისი

გამცემა

ივანი ჯამანოვილისა

ივ. ჯავახიშვილის მასალა დასაბეჭდად გაამზადეს
ნათ. ჯავახიშვილმა და მ. კახაძემ



რედაქციისაზარ

1923 წელს ივ. ჯავახიშვილიმა საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცულ ერთს, ე. წ. ჭალაშვილისეულს ხელნაწერში (ამჟამად ხელნ. № 1/207) აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ ახალი ნუსხა, რომელშიაც თამარ მეფის ისტორია წარმოდგენილია არა იმ თხზულებით, რომელიც მანამდე იყო ცნობილი და რომელიც „მარიამ დედოფლისეულ საქართლის ცხოვრებაშია“ მოთავსებული (ე. წ. «ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი»), არამედ სრულიად ახალი, აქამდე უცნობი, ისტორიკოსის თხზულებით.

„ქართლის ცხოვრების“ ამ ახალ ნუსხას ივ. ჯავახიშვილიმა იმავე 1923 წელს უძღვნა წინასწარი გამოკვლევა¹, რომელშიაც ნათელჰყო, რომ ჭალაშვილისეულ ნუსხაში შემონახულია მხოლოდ პირველი ნაწილი თამარ მეფის ამ ახალი ისტორიისა, ხოლო მეორე დაკარგული ნაწილის აღდგენა შესაძლებელი ხდება XVIII საუკუნის შევსებული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, რომლის შემავსებელთაც თამარის ისტორიისათვის გამოუყენებიათ როგორც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ისე მეორე ისტორიკოსის თხზულებაც. იმავე გამოკვლევაში ივ. ჯავახიშვილიმა გამოსთქვა მოსაზრება: „ჰიპოთეზა მისაზრება: ან საკითხად შეიძლება წამოყენებული იყოს“, რომ ამ თხზულების ავტორი ბასილი ეზოს-მოძღვარი არის².

თამარ მეფის ამ მეორე ისტორიის თხზულების ტექსტი ივ. ჯავახიშვილის დამატებული ჰქონდა გამოსაცემად; როგორც ჩანს, ის აპირებდა ვრცელი გამოკვლევის დამხატვას ამ თხზულების შესახებ³: განსვენებული აკადემიკოსის არქივის ერთ შეკვრაში, რომელშიაც მოთავსებული იყო ბასილი ეზოს-მოძღვრის თხზულება, სხვა ჭალადებთან ერთად აღმოჩნდა ასეთი გამოკვლევის ნაწყვეტი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.

«ისტორიათა და აზმათა» და ქცის შევსებული ტექსტების შედარებითი შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვიარკვიოთ, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებას არც B ხელნაწერში უნდა ჰქონდეს დასაწყისი სრულად შენახული, არამედ მას შესავალი უნდა აკლდეს. თავისდა-თავადაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ქართველს ისტორიკოსს XII და XIII საუკუნეში თავისი, ასეთი დიდი გვირგვინის მფობის მომთრბრებელი ნაწარმოები, როგორც თამარი იყო, აშგვარი ლიტრანი სიტყვებით და მატთანსებური კლოთი დაეწყო, როგორც იგი B-ში იწყობა. საფიქრებელია, რომ როდესაც ეს ძეგლი B ქართლის ცხოვრების კრებულში შექტონდათ, მისთვისაც იმგვარადვე, როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებისათვის. შესავალი მოუცილებიათ. ქცის შემავსებელთ, როგორც ჩანს, ეს ნაწარმოები B ან იმის მსგავსი ხელთნაწერით არ უნდა ჰქონდეთ ამოღებული, არამედ თითქმის მისი ცალკე მყოფი სრული დედანი უნდა ჰქონოდეთ ხელთ. ამით უნდა აიხსნებოდეს ალბათ ის გარემოება, რომ შევსებულ ქცაში ისეთი ნაწყვეტი მოიპოვება, რომელიც არც „ისტორიათა და აზმათა“-გან არის ამოღებული, არც B ხელთნაწერის თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში

¹ ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება (წინასწარი მოხსენება): თბ. უნივ. შობამე, ტ. III (1923), გვ. გვ. 186—216.

² I. c. გვ. 208.

³ 1937 წელს ივ. ჯავახიშვილიმა ბასილი ეზოს-მოძღვრის თხზულების ტექსტი დაუთმო რუსულ ენაზე გამოსაცემად ვ. დონდუას (იხ. В. Дондуга, Василий, историк царши Тамари, კრებულში Памятники эпохи Руставели, 33—76, Ленинград, 1938).

გვხვდება, შინაარსით-კი სწორედ მას უნდა ეკუთვნოდეს. იგი შეესებოდა ქცაში თამარის გამეფების შესახებ სათაურს მისდევს, მაგრამ B ხელთნაწერში არც ამ ადგილას და არც სხვაგან სადმე არ მდებარეობს და ამის გამო საფიქრებელია, რომ ქცის შემავსებელს ეს ნაწყვეტი შესავალითგან უნდა ჰქონდეს გადმოტანილი.

«შეგველის ქცა-ში სათაურის შემდგომ სწერია: «ხოლო აწ ამიერიტგან ვიწყო და მივიტხრა და დაფარული იგი ცეცხლი ვითარცა საღრტილსა შორის კვეთებითა რკინისათა გამოჰკრთის, ეგრეთვე აღმოზრწინებდად ამბავთა თამარისთა და სიტყვით დედნ მცირედი რამე ნაბერწყალი დედისა მის საჭმილისა აღმოვაკვირვო და მივიტხრა მიუთხრობელი და სიტყვთ გამოუთქმელნი ცხორებანი და ქცევანი თამარ ბრძნისანი». ე. თაყაი შვილის აზრით (ქცა მარია დედოფლისა გვ. 399, შენ. 8) ეს შესავალი „ისტორიათა და აზმათა“ შემდეგი სიტყვების გადაკეთება უნდა იყოს: «ხოლო ამიერიტგან ვიწყო წყობად, ბრძოლად გონებისად მიმხილველქმან და მკუთვებელმან მსგავსად ქვისა და რკინისამან; აღმოვშობო ცეცხლი სიყუარულისა, და ქებისა, და სურვილისა, აღვატყინო და აღვაბადლო საჭმილი ცამდინ, მუნ შიგან აღმოვაჩინო ვთერიცა ცეცხლისა და ქუეყანა ცეცხლთაგან მღვეელი ურჩა და ცეცხლებო ღონე-და მოქმარებელი მგებობრთა და მოყურათა» (შენ დღეს ქცა *623, გვ. 397).

«უეჭველია ამ ორ ნაწყვეტს ერთგვარი მსგავსება ეტყობა: პირველი სამი სიტყვა ორთავეს თითქმის ერთიდაიგივე აქვს, ტალ-კვესთან შედარებაც ორთავე ნაწყვეტში გვხვდება, მაგრამ შემდეგ უკვე განსხვავება იწყება. ამასთანავე ისიც გასათვალისწინებელია, რომ პირველი სამი სიტყვა მეორე შემთხვევაში განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს და ჩვეულებრივია ყოველი ახალი მოთხრობის დასაწყისისათვის, შესაძლებელია ქცის შემავსებლის მიერაც იყოს მიკერებელი, მით უმეტეს, რომ ზმნა „მივიტხრა“ წინადადებაში ორჯერ არის გამოყენებული. ტალ-კვესთან შედარება-კი მწკრილობაში ისე იყო გავრცელებული, რომ ორსავე ისტორიკოსს დამოუკიდებელი შეეძლო ესმარა ამგვარი შედარება, მით უმეტეს, რომ თვით სურათი ორსავე შემთხვევაში სხვადასხვანაირად არის დახატული და ამ მხრივ მათ შორის მსგავსება არ არსებობს. ეხლა უკვე ვიცით, რომ ქცის შემავსებელი მხოლოდ ტექსტის გადაკეთებული კი არ იყო, არამედ წყაროების, ცნობებისა და ნაწყვეტების ჩამოთველი».

რადგან ახალი დამთავრებული გამოკვლევა ბასილი ეზოს-მოდღრის თხზულების შესახებ განსვენებულს არაფერი დარჩენია, ამიტომ ტექსტის წინ ვათავებთ მისი 1923 წლის წინასწარი მოხსენებიდან ამოღებულ, თამარის მეორე ისტორიის შესახებ ნაწილს.

ტექსტი იბეჭდება იმ სახით, როგორც ეს განსვენებულის არქივში აღმოჩნდა, ხოლო საჭიროა შემდეგის გათვალისწინება:

- 1) ყველა შენიშვნა, რომლებიც ტექსტს ეხება, ეკუთვნის ი. ვ. ჯავახიშვილს;
- 2) ტექსტში შეტანილი შესწორებებიც (აღდგენა კონტექსტისათვის საჭირო სიტყვებისა, შესწორება უმართებულო ფორმისა, შემოტანა მთელი ფრაზისა ე. წ. შეესებოდა „ქართლის ცხოვრებიდან“) მასვე ეკუთვნის;
- 3) ტექსტში „ქართლის ცხოვრებიდან“ შემოტანილი ადგილები, ჭალაშვილისეული ხელნაწერის ძველი ნაწილის ფარგლებში, უფრჩხილებოდა დატოვებული, ხოლო თვით ი. ვ. ჯავახიშვილის მიერ აღდგენილი სიტყვები კუთხოვან ფრჩხილებშია ჩასმული;
- 4) ი. ვ. ჯავახიშვილის დედანში კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმული ყველა აღდგენილი (ე. ი. ჩამატებული) სიტყვა, სტრიქონის ხევიტ სწერია და კითხვითი ნიშანი უხის;
- 5) ჭალაშვილისეული ხელნაწერის ახალი ნაწილის (გადაწერილია 1731 წ.) მიხედვით გამზადებულ დედანში კუთხოვან ფრჩხილებშია ის ადგილებიც, რომლებიც ნუსხაში არის, მაგრამ ი. ვ. ჯავახიშვილს საეჭვოდ მიაჩნია მათი ბასილი ეზოს-მოდღრისეულიობა.

შემოკლებული და ქარავმიანი სიტყვების განმარტება

ანა დ'უს ქ'ცა—ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრება.

ა'დ—არამედ.

ვ'ა—ვითარცა.

კ'დ—კუალად, კვალად.

მ'მ დ'ფლს ქ'ცა—მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება.

M ქ'ცა—მარიამისეული ქართლის ცხოვრება.

რ'—რამეთუ.

საღ'თო—საღმრთო, საღვთო.

საღ'თოთა—საღმრთოთა, საღვთოთა.

ფ'დ—ფრიად.

ქ'ცა—ქართლის ცხოვრება.

ქ'რონიკონსა—ქორნიკონსა.

ღ'თი—ღმერთი.

ღ'თმან—ღმერთმან.

ღ'თსა—ღმერთსა.

ღ'თიე-განბრძნობილსა—ღმრთიე (ღვთიე) განბრძნობილსა.

ღ'თის—ღმრთის, ღვთის.

ღ'თისა—ღმრთისა, ღვთისა.

ღ'თისაგან—ღმრთისაგან, ღვთისაგან.

ღ'თისათა—ღმრთისათა, ღვთისათა.

ღ'თისათუხ—ღმრთისათუხ, ღვთისათუხ.

ღ'თისამან—ღმრთისამან, ღვთისამან.

ღ'თისანი—ღმრთისანი, ღვთისანი.

ღ'თისასა—ღმრთისასა, ღვთისასა.

ღ'თის-მშობელისათა—ღმრთის (ღვთის) მშობელისათა.

ღ'თის-მშობელმან—ღმრთის (ღვთის) მშობელმან.

ღ'თის-მშობელსა—ღმრთის (ღვთის) მშობელსა.

ღ'თის-მშობლისათა—ღმრთის (ღვთის) მშობლისათა.

ხ'—ხოლად.

ლიტერება

A (ტექსტში) ჭალაშვილისეული ქართლის ცხოვრების ძველი ნაწილი (1731 წლამდე გადაწერილი).

B (ტექსტში) ჭალაშვილისეული ქართლის ცხო-

ვრების ახალი ნაწილი, გადაწერილი თვით ჭალაშვილის მიერ 1731 წელს.

B (ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევასი) ჭალაშვილისეული ქართლის ცხოვრების ძველი ნაწილი (1731 წლამდე გადაწერილი).

რედაქტორი ს. ყაუხჩიშვილი

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი*

ბ³⁰ ჯ³¹ ც³²ის ხელთნაწერის შუა ნაწილის უძვირფასეს სამკაულს თამარის მეფობის აღწერილობა შეადგენს. აქამომდე M ჯ³³ ც³⁴ის წყალობით ჩვენ „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“ გვექონდა, რომლის უხეს შინაირსიანობას მისი რიტორულ-ფილოსოფიური მიმართულების გამომჟღავნებელი რთული ხელოვნური ენა ვერ ჩრდილავდა. შევსებულ ჯ³⁵ ც³⁶აში თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებას ორად (გიორგი III-ისა და თამარის მეფობად) გაყოფის გარდა შესავალიც ჩამოცილილი აღმოაჩნდა და ახალი ცნობებით შევსებულობაც ეტყობოდა. ამ ფრიად საყურადღებო დანართი ცნობების სადაურობა გამოუტყვეველი იყო და ზოგ მერმინდელ შეთხზულად ეჩვენებოდა კიდევ.

ქართული საისტორიო წყაროების შესწავლამ კარგა ხანია დამარწმუნა და ეს შემდეგ 1916 წ. დაბეჭდილს ჩემს შრომაში „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“ I წიგნში აღნიშნულიც მაქვს, რომ „თამარ მეფის ხანას შექველია საქართველოში ბევრი აღმწერილი და ისტორიკოსი ეყოლებოდა, მაგრამ ერთის გარდა სხვების ნაშრომი ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ამ ერთის თხზულებაც შენახულია „მშდფს ჯ³⁷ ც³⁸ა“-ში, მაგრამ მეტისმეტად დამახინჯებულია მერმინდელ გადამწერთაგან“-ო³⁹. B ჯ⁴⁰ ც⁴¹ის ტექსტმა იქ, სადაც თამარის მეფობა აღწერილი, გაამართლა ჩემი სიტყვები და მართლაც თამარის მეორე, აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება აღმოჩნდა. თუ მთლად არა, მისი პირველი ნახევარი თურმე დაკარგული არ ყოფილა და ტფილისში B ჯ⁴² ც⁴³ის ხელთნაწერში ინახებოდა.

საკმარისია აღამიანმა იქ მოთავსებული თამარის მეფობის აღწერილობა გადაიკითხოს, რომ მისმა მკვირცხლად დაწერილმა, დალაგებულმა და მთლიანი აზრითა და გრძნობით გამსჭვალულმა შინაარსმა უნებლიეთ გაიტაცოს და მოხიბლოს თავისი ცხოველი დასურათხატებითა და მრავალი ახალი ცნობებით. ყოველ წინადადებაში თანამედროვის დაკვირვებული თვალი და გონება მოჩანს და აღფრთოვანებული ძლიერი გრძნობა ჩქეფს.

ამ პირველი საერთო შთაბეჭდილების გარდა ქვემოთ თავის ადგილას თამარ მეფის ამ ახლად აღმოჩენილი ისტორიკოსის პიროვნებისა და მისი მსოფლმხედველობის შესახებ საგანგებოდ გვექმნება საუბარი, ესლა-კი გამოსარკვევი ვვაქვს, თუ სად უნდა ვიგულისხმოთ ამ ძეგლის დასაწყისი?

* ამოღებულია ივ. ჯავახიშვილის „გამოკვლევებიდან“ „ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება“, (თბ. უნივ. მოამბე, ტ. III, გვ. 88. 186—216). რედ.

³⁰ „B“ ლიტერით აღნიშნულია კალაფილიყული ხელნაწერი № Q/207. მისი აღწერილობა მოცემული აქვს განსვენებულ აკად. ივ. ჯავახიშვილს გამოკვლევაში „ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება“ (თბ. უნივ. მოამბე, ტ. III, 1923) და მისი რედაქციით გამოქვეყნებული ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ წინასიტყვაობაში (თბილისი, 1940). რედ. ³¹ გვ. 165.

თუ წითური სათაურის მიხედვით ვიმსჯელებთ და ამაზე დავამყარებთ ჩვენს დასკვნას, თამარ მეფის ახლად აღმოჩენილი ისტორიკოსის თხზულება თითქოს იქ უნდა იწყებოდეს, სადაც წითურად სწერია: დაჯ და ნებითო ღთისათა თამარ მეფედ დასაბამით განთა წელთა ექუსთათას ექუსას ოთხმოცდა ექუსა, ქჳრონიკონსა ოთხას და სამსაო. მაგრამ ამგვარი აზრი სამართლიანი არ იქნებოდა, რათგან ამ ადგილს რამოდენიმე გვერდი უძღვის წინ, რომელიც აგრეთვე თამარს ეხება, მხოლოდ მისი დაბადებისა და აღზრდის ხანას გვისურათებს. საფიქრებელია, რომ ეს ნაწილიც, როგორც ზევით გაკვირთ უკვე აღნიშნული გვექონდა¹, თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებას შეადგენდეს და მისი ნაწარმოების დასაწყისი იყოს. ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ თუმცა ამ ნაწყვეტს თავში გიორგი III-ის გამეფების თარიღი უზის და მისი მეფობის მოკლე ერთ-ორი წინადადებით გამოთქმული საზოგადო დახასიათებაა, მაგრამ მთელი დანარჩენი მოთხრობა მხოლოდ თამარს ეხება და აქვეა ნაამბობი თამარის გამეფებისა და კურთხევის მთელი გარემოება, აღწერილია მისი გარეგნობაც. ამ პირველი ნაწილის ავტორი რომ მართლაც თამარის მეფობის მთელი დანარჩენი ისტორიის აღმწერელი ყოფილა, ამის ერთი პირდაპირი დამამტკიცებელი ცნობაც მოიპოვება. პირველ ნაწილში იქ, სადაც თამარის მეორე მამიდის რუსუდანის დახასიათებაა, სახელდობრ ნათქვამია: «რომლისათუის აჴ დამაკლებს წინამდებარე ესე მოთხრობად, თუ რაოდენ შუენიერება და თავდგმულობა ექმნა ყოველთა პირველ მისსა ყოფილთა დედოფალთა», წინამდებარე ასაწერი ამგები საშუალებას არ მძღვევენ რუსუდანის პირიდი სათნოება დავახასიათოო. წინამდებარე-კი თამარის მეფობაა, ამგვარად ამ სიტყვებით რაივე ნაწილის აღმწერელის ერთდღივიეობა ცხადი ხდება. მაშასადამე, ზემომოყვანილი, სათაურის მსგავსად დაწერილი, წითური წინადადება მხოლოდ თამარის მეფობის მომთხრობელი ნაწილის წარწერად უნდა ჩაითვალოს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საკითხი მინც მარტო ამ დაკვირვებითა და დასკვნით არ ამოიწურება და თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებას, ზემოაღნიშნული წინამავალი ნაწილის მიმატების შემდგომაც, მინც მისი დასაწყისი სრულად ისე, როგორც იგი დაწერილი ყოფილა, არ ექმნება წარმოდგენილი, მაგრამ ამაზე ესლა საუბარი შორს წაგვიყვანდა. უნებლიეთ უნდა ჯერჯერობით ამით დავკმაყოფილდეთ და ამჟამად გამოვარკვიოთ მხოლოდ, თუ სად და რით თავდება ეს ძეგლი?

სამწუხაროდ თამარ მეფის ახლად აღმოჩენილი ისტორიკოსის თხზულებას მთელი მეორე ნაწილი აკლია. იგი სწყდება რუკნადლინთან ბრძოლის უწინარესს ამბავზე, რათგან ქც'ის იმ ძველ მე-XXVI—XVII სს. ხელთნაწერს, რომელშიაც ეს თხზულება შეტანილია, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა², ბოლო მოგლეჯილი ჰქონია და მხოლოდ შემდეგში 1731 წ., სხვა ქალაქზე და სხვა ხელით ერაჯე ქალაქშილს ქც'ის ვახტანგისეული რედაქციის ტექსტივან

¹ იხ. ავტორის წერილი „ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება“, გვ. 199.

² იქვე, გვ. 200.

გადმონაწერით შეუვსია დანაკლისი. ამისდა მიუხედავად თამარ მეფის ამ მეორე ისტორიკოსის მეორე, დაკარგული ნაწილის თუმცა სრულად არა, მაგრამ მაინც შეესება შეიძლება.

ჯერ კიდევ ჩემს 1914 წ. დაბეჭდილს „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში ვამბობდი: ეხლა, როდესაც ანა დ'ფს ქც'ის ხელთნაწერმა დაგვანახვა, რომ დიმიტრი I-ის მეფობის შესახებ ცნობები ლაშა-გიორგის დროინდელი ქართველი მემკვიდრის თხზულებითგანა ყოფილა ამოღებული და სხვა შემთხვევებშიაც ქც'ის შემავსებელთ ძველის წყაროებით უსარგებლიათ, მე დარწმუნებული ვარ, რომ თამარ მეფის ისტორიის ბოლოც შეესებულს ქც'-ში რომლისაზე ძველი ქართველი მემკვიდრის თხზულებითგან უნდა იყოს ამოღებულია¹. B ქც'ის აღმოჩენამ ჩვენ სრული საშუალება მოგვცა გამოვვეროკო, თუ საითგან ამოვლიათ ქც'ის შემავსებელთ ის ცნობები, რომელთა კვალი თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში არ ჩანს, M, B და შეესებული ქც'ის ტექსტების შედარებითი შესწავლა ცხადჰყოფს, რომ თამარის მიერ მოწვეული საეკლესიო კრების შესახებ, მიქელ კათალიკოსზე და დანარჩენი ცნობებიც, რომელიც შეესებულ ქც'-შია, თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში კი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი“) არ მოიპოვება, B ხელთნაწერში შენახული თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებითგან ყოფილა ამოღებული. ეს დაკვირვება საშუალებას გვაძლევს ამ მეორე ისტორიკოსის ნაწარმოების დაკარგული ნაწილი აღვადგინოთ. ამისთვის შეესებული ქც'ის თამარის მეფობის მომთხრობელი ტექსტი M ქც'ის „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტს უნდა შევადაროთ და, რაც ამ უკანასკნელთან შედარებით შეესებულ ქც'-ში ზედმეტი აღმოჩნდება, ის თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ნაწარმოებითგან იქმნება ამოღებული. თუ ამ ზედმეტ ნაწილებს შევავრთებთ და ვადავაბამთ, ჩვენ ავალწინ ამ ძეგლის დაკარგული მეორე ნაწილი წარმოგვიდგება. ამნაირი შედარებითი მუშაობის წყალობით თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ჯერჯერობით დაკარგული ნახევრის ტექსტი აღდგენილი გვაქვს კიდევ.

მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ამ ძეგლის პირველი შენახული ნაწილისა და M ქც'ისა და შეესებული ქც'ის ტექსტების შედარებითა შესწავლამ დამარწმუნა, რომ ქც'ის შემავსებელთ ჯერ ერთი თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ყველა ცნობებით არ უსარგებლიათ და ყველაფერი არ შეუტანიათ, და თანაც არც დედნის მოთხრობის წესრიგი დაუცავთ ყოველთვის, მართლწერისა და სიტყვათა წყობილების შეუცვლელობისათვისაც თითქოს ჯეროვანი ყურადღება არ უნდა ჰქონდეთ მიქცეული. ეს გარემოება სიფრთხილეს უნდა გვიკარნახებდეს და უნდა გვახსოვდეს მუდამ და ვიცოდეთ, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულების დაკარგული ნაწილის შემოაღწეული გზით აღდგენილი ტექსტი დედნის სრულ ტექსტად ვერ ჩაითვლება. მას შეიძლება და შეეძლება ამაზე მეტიც უნდა ჰქონოდა, თვით მოთხრობის წესრიგი და სიტყვათა წყობილება, მით უმეტეს მართლწერა სრული სისწორითა და ზედმიწევნობით დაცულად არ უნდა გვეგულებოდეს.

¹ იხ. „ქელი ერის ისტორია“ II, 632 შენ. 1914 წ.

ამგვარი აღდგენა მაინც საშუალებას გვაძლევს ავტორზე და მის თხზულებებზე საერთო მსჯელობა ვიქონიოთ. რათგან თხზულების არც ბოლო და არც დასაწყისი სრულად შენახული არ არის, პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, თუ როდის უნდა იყოს თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულება დაწერილი, არ მოგვეპოვება. ამიტომ გამოსარკვევია, როდის და როგორ არის დაწერილი იგი, ერთად თუ ნაწილ-ნაწილ, როგორც მაგ. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ნაწარმოები „ისტორიანი და აზმანი“-ა შეთხზული? ამის გამორკვევის საშუალებას ჩვენს ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილი გვაძლევს, რომელიც ზაქარია მვარგრძელის ამირსპასალარად, ივანე მვარგრძელის მსახურთ-უხუცესად და ჭიბერის მანდატურთ-უხუცესად დადგენის ამზავის შემდგომ და შანჭორის ომამდეა მოთავსებული. იქ ჩვენს ისტორიკოსს სხვათა შორის ნათქვამი აქვს, რომ თუ მომავალი თაობანი თამარის მეფობის დიდებულების ამბავს არ დაიჯერებენ, ასეთმა ურწმუნოებმა გაიხსენონ «ერაყაჰმლის მისგან დადებულ ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარალამდის» და მაშინ დარწმუნდებიან, რომ ყველაფერი, რაც ნაამბობია, მართალი არისო. ვინც თამარ მეფის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორია იცის, ის რასაკვირველია მაშინვე მიხვდება, რომ ჩვენს ავტორს აქ საქართველოს ლაშქრის სპარსეთში ძლევამოსილი გალაშქრება აქვს ნაგულისხმევი, როდესაც შემომოყვანილ წინადადებაში აღნიშნული ამბები მართლაც მოხდა. ხოლო ეს გარემოება ცხადყოფს, რომ თამარ მეფის ამ ახლად აღმოჩენილ ისტორიკოსს თავისი თხზულების პირველი, 1184—1195 წ.წ. ამბების შემცველი, ნაწილი იმ დროს დაუწერია, როდესაც საქართველოს ჯარს ჩრდილოეთი სპარსეთი უკვე დაპყრობილი ჰქონდა და საქართველოს სახელმწიფოს ყმაღ ნაფიცად იყო ქტეული, ე. ი. თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში და მაინცდამაინც 1210 წ-ს, ან ამის შემდგომ ახლო ხანებში.

ჩვენს ისტორიკოსს რიტორული ენაწყლიანობით მოქარგული სიტყვებით ერთგან გაიძახის: «რომელმან შეუძლოს აღწერასა მიცემად წართმებანი თამარის საქმეთანი? რამეთუ ვითარ თმანი თავისანი თუითეულად ვერავინ აღრიცხუნეს, ეგრეთვე ვერცავინ ესენი აღწერნესა»-ო. მაგრამ თუნდაც რომ ვინმე შესძლოს, სულ ერთია მომავალი თაობანი ამას არ დაიჯერებენ: «რომელთაცა ოდენ შეუძლოს, საეჭუელ მიჩნს მომავალთაგან შემდგომად არა დარწმუნებად»-ო. მას საქართველოს სახელმწიფოს ბრწყინვალე ხანის თანამედროვეს და მომავალში თავის სამშობლოსათვის უფრო მეტი წარმატებისა და სიძლიერის მოიმედეს, ეგონა, რომ მერმინდელი თაობანი ისტორიკოსს არ დაუჯერებდენ, რომ საქართველო წინათაც, თამარის დროსაც ასე დაწინაურებულ იყო. მან არ იცოდა, რომ ისტორიის ბედის ტრიალი ჩვენს სამშობლოს ისეთ მდგომარეობაში ჩაადგებდა, რომ თამარის ხანა მერმინდელ თაობებს უფბრწყინვალეს დროდ ეჩვენებოდათ და არამცთუ იმას დაიჯერებდენ, რასაც ისტორიკოსები მასზე მოუთხრობდენ, არამედ ქართველს ერს ყოველი საქართველოს შესანიშნავი ძეგლი უეჭველად თამარის აგებულ-ნამოქმედარად ექმნებოდა მიჩნეული..

თამარ მეფის ისტორიკოსის თანამედროვეობა მისი თხზულების უკანასკნელ ნაწილშიც ნათლად ჩანს და თვით მასაც აქვს ორგან ეს გარემოება აღნიშნული. თამარის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარების შესახებ მას ნათქვამი აქვს: «ეს რეთ გვანდა დაღათუ ჩუენ თანა იგლოვსცა და ყოველი სოფელია-ო. ხოლო დიდებული მეფის სახელგანთქმულობაზე იგი ამბობს: «საქმეთა მისთათჳს რადლა საგმარ არს თქმად, რამეთუ კიდით კიდემდე განისმნეს, ვითარცა თუთ მოწამე არს ყოველი ჩუენ მიერ ხილული სიჭყუისაებრ ბრძინსა»-ო.

საკმარისია აღამინა გელაიეთხოს თამარ მეფის ავადმყოფობისა და სიკვდილის უკანასკნელი წუთებისა და სიკვდილის მშვენიერი აღწერილობა, რომ აღამინა იქ თანამედროვის გულისძგერა და ტკივილი ცხადად იგრძნოს. თუ ზემოთ განსაზღვრულ თარიღთან ერთად გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ისტორიკოსის თხზულების მეორე, შევსებულ ქცაში შენახული, ნაწილი თამარის უკანასკნელ დღეებსა, წუთებსა და სიკვდილს ისეთი სიციხოველითა და გრძობიერებით მოგვითხრობს, რომ აღწერილობას თავზე ახლად დამტყდარი უბედურების ძლიერი შთაბეჭდილების გავლენა ეტყობა, მაშინ თავისთავად დაგვებადება დასკვნა, რომ იგი თამარ მეფის გარდაცვალების უმაღლეს და იყოს დამთავრებული. ამგვარად თამარის მეორე ისტორიკოსის მთელი შრომა 1210—1213 წ.წ. უნდა იყოს დაწერილი.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის პიროვნების დასახისათებლად უნდა აღინიშნოს, რომ მისი მოთხრობა არას დროს, რამდენადაც შენახული ტექსტი თანა ჩანს, საომარ მოქმედების მიმდინარეობას არ გვისურათებს. ამ მხრივ იგი თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიათა და აზმათა“ ავტორისაგან განსხვავდება, რათგან ამ უკანასკნელს პირიქით, როგორც შანქორის, ისევე რუქანდინთან ბრძოლა დაწვრილებით აქვს მოთხრობილი. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ თამარის მეორე ისტორიკოსი სამხედრო მოქმედების დამსწრე და თვითმხილველი არ უნდა ყოფილიყო. ამის გამო უეჭველია ის სამხედრო პირი არ იქმნებოდა.

მეორეს მხრით თამარ მეფის ისტორიკოსი არც სამეფო დარბაზობის აღწერილობით ყოფილა დაინტერესებული. საგულისხმოა, რომ ჩვენს ავტორს არც ერთი დარბაზობა, თვით მწიფენლოვანი, საწუნიოც კი, არა აქვს დასურათებული იმ დროს, როდესაც „ისტორიათა და აზმათა“ აღმწერელს დარბაზობისა და ზემის შესახებ ამბები ასე ჰყვარებია. ამის გამო თამარის მეორე ისტორიკოსი დარბაზის მოხელედ, ან წევრადაც არ არის საფიქრებელი.

უეჭველია იგი არც მმართველთა უმაღლეს წრეს უნდა ჰქუთინებოდა; რამდენჯერმე ის მათ წუნსა და ბრალსა სდებს. იგი მაგ. არ მალავს, რომ განძის საქმე აქა ვერა კეთილად განაგეს ზაქარია და ივანე და ესე ოდენ იქმნა დაკლება ამას გამარჯუებასა შინაა-ო (რგ. 35 აკ). გაუფრთხილებლობას აბრალებს იგი თამარ მეფის მახლობელ და მმართველ პირებსაც, რომ მიძიმე ავადმყოფს გვირგვინოსანს არ გაუფრთხილდენ და ერთი ადგილითგან მეორეში მიჰყავდათ: «აქა საბრალობელ მიჩნს დიდად ერთგულნი იგი კაცნი, თუ ვითარ უგულბებელს ყუეს ეგოდენ-

ნი ტკივნეულობაჲ მისი, რამეთუ წარმოიყუანეს კუბოთა ტფილისს[ს] და შემდგომად მცირედთა დღეთა ენებათ ჩუენულეებისაებრ, რათა დასოს განვიდენ, ისწრაფდეს და მუნ წარიყვანეს კუბოთავე და დიდად განძნელდა სენი იგი უწყალა-ო.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ისტორიკოსმა მანც თამარ მეფის შინაური ცხოვრება კარგად იცის. დაწვრილებით მოთხრობილი აქვს, საღ და როგორ ლოცულობდა, როცა საქართველოს ჯარს საომრად გაისტუმრებდა ხოლმე, არ ავიწყდება, თუ ვინ ახლდა ასეთ შემთხვევებში დიდებულ გვირგვინოსანს. ამიტომ ისე გამოდის, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი თითქოს დიდებული გვირგვინოსნის ცოტად თუ ბევრად ახლო მდგომი პირი უნდა ყოფილიყო.

საფიქრებელი ხდება, რომ ჭი ანტონი მწიგნობართ-უხუცესის, ჭყონდიდლისა და ვაზირთა უპირველესის მომხრეთაგანია, რათვან არც ერთი მაშინდელი მოღვაწე მას ასე შექებული არა ჰყავს, როგორც ანტონი, მისი არჩევაღვთის შთაგონების შედეგად არის წარმოდგენილი. იგი არის «ნანდვილგეკაცი ღირსი ქებისა, ჭეშმარიტი ქრისტიანე, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე ყოველთა, ტკბილი, მდაბალი, პატრონისა ერთგული უზომოდ და შემეცნებული საშურავთა საეკლესიოთა და მონასტერთათჳს. რადღა სანჯმარ არს თქმად, თვთ წამებენ კმნილნი მისნი ყოველგან»-ო, გაიძახის ჩვენი ისტორიკოსი.

უნებლიეთ იპყრობს მკვლევარის ყურადღებას ის გარემოებაც, რომ რუკნადინის წინააღმდეგ გასასტუმრებელი ჯარის თამარ მეფისაგან დალოცვის აღწერილობაში ჩვენს ისტორიკოსს ასეთი წვრილმანი ცნობა აქვს მოხსენებული, თუ ვის ეპირა სახელდობრ ჯვარის მეორე მხარე იმ დროს, როდესაც მეომრები ჯვარისა და თამარის ხელზე სამთხვევად მოდიოდნენ. და იწყეს «თაყუანის ცემად პატიოსნისა ჯუარისა და ამბორის ყოფად და ეგრეთვე შემთხუევად ჯელსა თამარისასა... რამეთუ ერთითა ჯელითა თუით მას ეპყრა ძელი ჯუარისა, ხოლო ერთითა ეზოს-მოძღვარსა ბასილის და ჯუარის მტვირთველსა»-ო. რაკი აქ ასეთი უმნიშვნელო რამის გამო ეზოს-მოძღვარი ბასილი არის დასახელებული; ჰიპოთესის მსგავსად, ან საკითხად შეიძლება წამოყენებული იყოს, ვს გარემოება ბასილი ეზოს-მოძღვრის ავტორობის მომასწავებელი ხომ არ არის?

ასე თუ ისე, თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი დახელოვნებულ მწერლად მოჩანს. თუმცა საღმრთო წერილითგან ამოღებული წინადადებები მის თხზულებაში იშვიათი არ არის ხოლმე, მაგრამ მსოფლიო ისტორიის განთქმული მოღვაწეებისა და შემთხვეულებათა მოხსენებაც იცის. შანქორის გამარჯვებას ის უწოდებს ულუმპიანს გამარჯვებას, «ფრიად უაღრესსა საქეზელისა მისგან ძღვევისა, რომელი ყო აღექსანდროს დარიოსს ზედა» (რვ. 35:5). მანც, რამდენადაც შენახულ ტექსტითგანა ჩანს, მსოფ-

ლიო ისტორიითგან მოყვანილი შედარებანი ჩვენს ისტორიკოსს ცოტა აქვს და არც ერთხელ, რაც ფრიად დამახასიათებელი და საგულისხმოა, სპარსულ-არაბული მხატვრული მწერლობითგან ამოღებული მაგალითები მას მთელს თხზულებაში არ მოეპოვება. ამ მხრივ ჩვენი ისტორიკოსი თამარის პირველი ისტორიკოსის, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება. უეჭველია ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს და უფლება გვაქვს მისი მიმართულებისა და მსოფლმხედველობის გამომჟღავნებლად მივიჩნიოთ. რაც უნდა იყოს, თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი უმთავრესად საღმრთო წერილსა და ბერძნულ ჟამთააღმწერელობის ძეგლებში ნაკითხ ადამიანად გვეჩვენება და მაჰმადიანური მხატვრული თუ ისტორიული მწერლობის ნაკითხობა არ ემჩნევა. იქნებ ეს დარგი მისთვისაც სრულებით უცნობი არ ყოფილიყოს, მაგრამ გული და გონება ამისთვის მაინც დახშული ჰქონია.

რასაკვირველია ჩვენს ავტორს ქართული საისტორიო თხზულებები უნდა სკოდნოდა კარგად და ეტყობა კიდევ, რომ ამ ცოდნას მისთვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია. თამარ მეფის უკანასკნელი წუთების აღწერილობასა და გოდებაში იგი ცოტა არ იყოს გიორგი ხუცეს-მონაზონს ვევაგონებს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც საზოგადოდ შთაბეჭდილება მოუხდენია და ერთგან თავის თხზულებაში ჩვენი ავტორი მას ცხადად ჰგულისხმობს კიდევ. სახელდობრ მას აღნიშნული აქვს, რომ თამარის მეფობის დასაწყისში «მისევე დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტეთთა, შვილთა კახაბერთა... იწყეს ძმაცუა და ბრძოლად მახლობელთა თუისთა, რამელთა არცა მხიდებულთა შეიგონეს, არცა წყალობათაგან თამარისთა შეიკდიმეს, არამედ ძუელად მათთუის დაწერილი კუალად განაახლეს და კუდსა ძაღლისასა, გინა კუთხსა ფლასისასა ემსგავსებოდეს»-ო (რვ. 365a). ლიპარიტის შესახებ ძველად ქართულ საისტორიო მწერლობაში მართლაც მოიპოვება ცნობები, მაგრამ მხოლოდ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსა აქვს ლიპარიტის მოღალატური მოქმედებისადმი მიდრეკილების დაუშლელობაზე ნათქვამი, დიდებულმა გვირგვინსანმა ბებრი ცდის შემდგომ დაინახა, რომ როგორც კული «ძაღლისა არა განემართების», ისევე ლიპარიტის გასწორება შეუძლებელი იყო და ამიტომ საქართველოთგან გააძევაო¹.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის მოთხრობის დამახასიათებელ თავისებად ის გარემოება უნდა იქნეს მიჩნეული, რომ იგი თამარის მეფობის პირველს წლებში მომხდარი იქნაური პოლიტიკური ბრძოლის შესახებ თავის მკითხველს არაფერს უამბობს: ცალი სიტყვითაც-კი მოხსენებული არ არის დიდგვირიან აზნაურთა ვადიცვისა და ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის საგულისხმომო ამბავი. სამაგიეროდ მას ნრცელი და საყურადღებო ცნობებით აღსავსე მოთხრობა მოეპოვება თამარ მეფის მიერ მოწვეული საეკლესიო კრების შესახებ, რომელსაც „ისტორიანი და აზმანი“ სრულებით არ იხსენიებენ. შეიძლება ადამიანს ეფიქრა, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსს, როგორც მე-XIII ს.

¹ ცა მწთ მწსა დავითისი (*522, გვ. 289).

დამდეგის მწერალს, საქართველოს დიდებული გვირგვინოსანის მეფობის პირველი წლების ამბები კარგა არც-კი სცოდნოდეს და მისი მღუპარება სწორედ ამითვე აიხსნებოდეს ამ შემთხვევაში, მაგრამ იმის გარდა, რომ ამგვარი აზრის უსაფუძვლობას ჩვენი ისტორიკოსისაგან მოყვანილი საეკლესიო კრების აღწერილობაც ამტკიცებს, თითონ მას აქვს ერთგან მოხსენებული ამბავი, რომელიც ნათლად მოწმობს, თუ თამარის მეფობის პირველი წლების თავგადასავალის რამდენად კარგი მცოდნე უნდა ყოფილიყო. ის სახელდობრ ამტკიცებს, რომ თამარი თითონაც დაუცხრომელად მუშაობდა და სხვებსაც მუდამ ამუშავებდა სხვათა შორის იმიტომაც, რომ მოკლილნი არა «სხუათა განზრახვათა დამოეკიდნენ, ვითარცა სიმდიდრითა აღადებულითა, ანუ ერთიერთისა მტერობად მოიცლიდეს და ბრძოლად, ვითარ ყუესცი ვიეთმე დაწყებასავე ამისსა მეფობისასა მისვე დრკუსა ძირისა ნაყოფთა ღიპარი ტეთთა შვილთა კახაბერთა, რამეთუ იწყეს... ბრძოლად მახლობელთა თუისთა», რომელთაც არაფრით თავიანთი არ დაუშლიათ და ანტონი ჭყონდიდელის ორი ძმა დაუხციით კიდევ და რომელნიც განრისხებულს თამარს ხუთივე ძმა დაუჭერინებია და სათითაოდ ხუთს ციხეში ჩაუსვამს; ხოლო შემდგომ, როდესაც თურმე ჭკუა ვერც ამან ასწავლათ, ექსორიაქმნით საქართველოთგან საბერძნეთის მაკედონიაში განუდევნია. ეს უკანასკნელი ამბავი თამარ მეფის პირველ ისტორიკოსსაც-კი არა აქვს თავისს ნაწარმოებში („ისტორიანი და აზმანი“) მოხსენებული. ამის გარდა თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობაში, რომ «სიმდიდრით აღადებულითა» შორის, რომელნიც «სხუათა განზრახვათა დამოეკიდნენ» და თამარის მეფობის დასაწყისში «მტერობად და ბრძოლად მოიცალეს», უნებლიეთ მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუთლუ-არსლანი და მისი დასი გვაგონდება და შესაძლებელია ჩვენს ავტორსაც სწორედ ეს ამბავივე ჰქონოდეს ნაგულისხმევი. ზემომოყვანილი ცნობითგან მაინცდამაინც ცხადია, რომ მას თამარის მეფობის დასაწყისის ხანის შესახებაც ბევრი რამე სცოდნია, რაც მოთხრობილი არა აქვს.

საზოგადოდ მისი როგორც მოთხრობა, ისევე ამბების გაშუქება თამარის პირველი ისტორიკოსის მოთხრობა-გაშუქებისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება. რაც ერთს აინტერესებდა, მეორეს გაკვრით მოუხსენებია, ან სრულებით დაუღუშინა. იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ორთავე ისტორიკოსს ერთიდაიგივე ისტორიული მოვლენა აქვს აღწერილი; მათი მოთხრობა ხშირად საგრძნობლად განსხვავდება, ზოგჯერ ერთი მეორეს არც-კი უდგება ალბათ იმიტომ, რომ მოვლენის სხვადასხვა საფეხურები აქვთ ნაგულისხმევი. ქცის შემავსებელთ ეს გარემოება სრულებით გათვალისწინებული არ ჰქონიათ და ამ ორი ისტორიკოსის ცნობები მექანიკურად გადაუბამთ ერთი მეორეზე და ვერც-კი შეუთმენიათ, რომ ზოგჯერ ეს ცნობები ერთი მეორეს სრულებით არ ეგუება.

თამარის მეორე ისტორიკოსი, როგორც ეტყობა, შინაური პოლიტიკურ-სოციალური მოძრაობის აღწერას უფრო გაურბოდა. საფიქრებელია, რომ მას სომეხ-ქართველთა საეკლესიო კრებისა და ცნობილ შეცილებაზეც არაფერი უნდა ჰქონოდა ნაამბობი. სძულდება მას თამარ მეფის პირველი ქმარიც, შართა-

ლია თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი პირველი ქმრის გიორგი რუსის შესახებ ზოგიერთში უფრო დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის, ვიდრე „ისტორიანი და აზმანი“, მაგრამ მის სახელს არც ერთხელ არ იხსენიებს იმ გვარადვე, როგორც რუსის მომყვანელი დიდებულის სახელსაც არ უმჟღავნებს მკითხველს: ის მხოლოდ არ მალავს თავის უკმაყოფილებას და ამბობს: «ესე ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერ იყუნეს, რომელსა იგი მოიყუანებდეს» და ჩივის, რომ «ესოდენსა მძიმესა საქმესა სუბუქად შეეხებოდეს»-ო. დაწვრილებით აქვს მას აღწერილი ის მედგარი წინააღმდეგობა, რომელიც თამარს გაუწევია ამ საქმისათვის, მაგრამ თავისი მაინც ვერ გაუტანია, რათგან დიდებულები და მმართველი წრეები საქართველოს სამეფო ტახტის უმემკვიდრეობის საბუთიანობით ძალას ატანდენ და «ყოვლითურთ შეაიწროებდეს სულსა შიისსა»; ბოლოსდაბოლოს თამარ მეფე იძულებული გამხდარა, საერთო სურვილს დამორჩილებოდა. ისტორიკოსს მაინც ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ «თუინიერ ნებისა მისისა ყუეს ქორწილ»-ო.

ჩვენი ისტორიკოსი სდუმს გიორგი რუსის სამხედრო მოღვაწეობაზეც და მას ერთი სიტყვითაც მოხსენებული არა აქვს ის ლაშქრობანი, რომლის მოწაწილედაც „ისტორიანთა და აზმათა“ ავტორის სიტყვით იგი უნდა ყოფილიყო. სამაგეოდ მას აღნიშნული აქვს, რომ გიორგი რუსის სკუითური ბუნება და ქცევა, სიმთვრალე და სხვა სისაძაგლე უკვე «არა მრავალთა დღეთა შემდგომად» გამოსჩენია. სულ სხვანაირად აქვს აღწერილი ჩვენს ავტორს თამარისაგან პირველი ქმრის განტყვების ამბავიც. თუ „ისტორიანი და აზმანი“ თამარს განშორების დროს მაინც ცრემლს აღვრევინებს, აქ თამარი უფრო ბუნებრივად, ადამიანურად არის წარმოდგენილი და მისი ქალური თავმოყვარეობის აღშფოთება მშვენიერი ფერადოვნობით არის აღბეჭდილი: მართალია საღმრთო სჯული ბრძანებს «არა განშორებად პირველსა საწოლსა», მაგრამ ეს ისეთ პირებისათვის არის ნათქვამი, რომელნიც თითონაც საცოლ-ქმრო დამოკიდებულების სიწმინდეს იცავენ ხოლმე. ხოლო «რომელმან არა დაიცვას საწოლი თვისი წმიდად, არა ჯერ არს მის თანადეათმენა»-ო. ცნობილია, რომ საქრისტიანო მოძღვრება სამწუხაროდ ორთავე სქესს თანასწორ პირობებში არ აყენებდა, არამედ ქალს უფრო მკაცრად ეპყრობოდა. თამარ მეფეს ამ მხრივ ცოლ-ქმარი თანასწორად პასუხისმგებელად მიუჩნევია. ხოლო, როდესაც თამარის ყოველსავე ცდას მის განსაშორებლად ფუქად ჩაუვლია, პირიქით, იმდენადაც-კი გაკადნიერებულა, რომ მოგზავნილი ჩამგონებლები ნაცემი-კვი გამოუსტუმრებია განრისხებულს, მაშინ მოთმინებითგან გამოსულს თამარ მეფეს საჯაროდ «წინაშე ყოველთასა» გიორგი რუსისათვის გამოუცხადებია: რათგან ვითარცა მრუდე ხის აჩრდილის გასწორება შეუძლებელია, ისევე შენი მორჯულება მე არ ძალმიძს, ამიტომ «განვიყრი მტვერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ»-ო. მიუხლია თუ არა ამ უკადრისი და სოლომური ქცევის მიმდევარი კაცისადმი ეს ზიზღითა და აღშფოთებული გრძნობით აღსავსე სიტყვები, მაშინვე წარმომდგარა და

გასულა ოთახითგან. ხოლო იქ მყოფ რუსუდანსა და მთავრებს ამ სამარცხვინო-საჭმისათვის ბოლო მოუღიათ: გიორგი რუსის გაძევება გადაუწყვეტიათ და აუსრულებიათ კიდეც.

ჩვენი ისტორიკოსი თამარისათვის როგორც პირველი საქმროსა, ისევე მეორე საქმროს არჩევნის დროს გამოჩენილ მრავალ მოაჯისა და თამარის ქმრობის მსურველთა შესახებაც სდუმს. ამ მხრივ იგი თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება.

თამარისათვის მეორე საქმროდ დავით სოსლანის არჩევის ამბავიც ჩვენს ისტორიკოსს უფრო ბუნებრივად და სინამდვილით აქვს გადმოცემული. თუ „ისტორიათა და აზმათა“ აღმწერელი მოგვითხრობს, ვითომც თამარ მეფეს განეცხადებინოს «არაოდეს ყოფილა გული ჩემი მოწადინე ქმროსნობისა არცა პირველ; არცა აწუე»-ო (*646, გვ. 431), იგი გვაუწყებს, რომ თამარი ახალ საქმროს იცნობდა და სწორედ «მეცნიერებისათუის ყრმისა» თანხმობა განაცხადაო. ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ თამარი მისთვის პირველი საქმროს მოყვანის დროს დიდებულებს ეუბნებოდა, როგორ ირჩევთ ისეთს ადამიანს, რომელსაც არ ვიცნობთო, საფიქრებელი ხდება, რომ შესაძლებელია დავით სოსლანი გულში თამარს მაშინვე უფრო შესაფერისად მიაჩნდა და მეორეჯერ არჩევანიც მისი სურვილის თანახმად ყოფილიყო მოხდენილი.

საგულისხმო ცნობები აქვს ჩვენს ისტორიკოსს თამარ მეფის მოღვაწეობის შესახებ. იგი ახასიათებს მას ვითარცა პოლიტიკურს მოღვაწეს და სამეფოს საკუთმპყრობელს, თვალწინ უშლის მკითხველს თამარის პოლიტიკურს გეზს შინაურს ცხოვრებაში და საერთაშორისო დამოკიდებულებაში. საქართველოს პოლიტიკური ძლიერებისა და საზღვრების სწრაფი ზრდის საერთო მიმოხილვის შემდგომ ჩვენი ისტორიკოსი თავის მკითხველს აფრთხილებს: «ესე ყოველი რა გესმოდის, ნუ ვინ ესრეთ ჰგონებთ, თუმცა თუინიერ თამარისსა რამე ქმნილ იყო ვისგანცა, არამედ ესრეთ განიგონე, მონაპირეთა მონახიან საქმე, ანუ ციხე ასადებელი, ანუ თუქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქუეყანა მოსარბეველი, მოაჯსენიან თამარს და მან გასინჯის საქმე იგი და გამოიკითხის. უკეთუ ღირს იყვის შეყარასა ლაშქართასა, უბრძანის ზაქარიას და ივანეს და შეყარნიან ლაშქარნი, თუით დავით მეფე წავადის და არა სადათ შემოქცეული ცუდად. უკეთუ უმცირესი რამე იყვის, მყის შესხნის დარბაისერნი (sic) თუისნი და, ვითარ შავარდენთა მოისაქმიან. თუ თუით იყვის ანუ მინდორით ნადირობასა შინა, ანუ შინამყოფსა, და ესმის რამე და შესხნის მუნ ღირსნი მისნი: ვითარ არწივთა კაკაბნი ეგრეთ დანაბნიან ყოველნი წინააღმდგომნი»-ო (რგ. 36აბ—36ა). ხოლო ისტორიკოსის სიტყვით «მას ყოველსა დაუშრომელად რამოქმედებდა, არა თუისისა ქონებისა მოქმენე იყო და არცა სამეფოდ იშქირვიდა ესეოდენთა ქალაქთა და ციხეთა, არამედ თუით მათვე

მისცემდა, რომელთა აუცალოებდა თუისთა ლაშქართა: ვითარ წამებს დიდი და სახელგანთქმული სახ(ე)ლი სომეხთა მეფეთა ანისი, რომელი წარულო სპარსთა შანშაობისა თანა მრავალ-ჟამ მათგან ქონებული,—ხოლო სპარსთა სახლი სახელოვანი დვინი. და ამათ ორთა პირთათუის იქმოდა: პირველად რათა მარადის გული უთქუმიდეს და შური აიღონ ერთმანერთისა წარმართთა შექინებისათუის თუისისა, და მეორედ რათა მოუტუეთოს ყოველი მიზეზი, რომელი დაქსნის ერთგულობასა-ო (რგ. 367B).

თუმცა ქცის შემავსებელის წყალობით ჩვენი ისტორიკოსის ზოგი ცნობები უკვე წინათაც ვიცოდოდ, მაგრამ კიდევ ბევრია ისეთიც, რომელიც ფრიად საყურადღებო საკითხებს ეხება, მაშინდელ პოლიტიკურ მოღვაწეებს ახასიათებს და გვისურათებს, და აქამდე სრულებით უცნობი იყო. წინასწარ მოხსენებაში ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია და არც საჭიროა: ძველი რომ დანიბეკდება, ყველას საშუალება ექმნება ეს ცნობები თვთვე ამოიკითხოს. სხვათა შორის მხოლოდ ამ ისტორიკოსს აქვს თამარ მეფის გარეგნობის აღწერილობა. მისი სიტყვით «ტანსა ზომიერსა გრემანობა თუალთა და დაწუთა სპეტაკთა ზედა ვარდებრივ ფეროვნობა, მორცხუივ ხედვა, ლალი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და ულიზლო სიტყუის სინარნარე» (რგ. 335b) ახასიათებდა საქართველოს უმშვენიერეს ასულსა და დიდებულ გვირგვინოსან საჭეთმპყრობელს. ადვილი წარმოსადგენია თუ რამდენი საყურადღებო, ჩვენთვის სრულებით უცნობი, ამბები უნდა იყოს დაკარგული თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულების იმ მეორე ნაწილთან ერთად, რომელიც B ქცის ხელთნაწერს აკლია.

უეჭველია ბატონიშვილს ეახუშტს თავისი ისტორიის შედგენის დროს თამარ მეფის ამ მეორე ისტორიკოსის თხზულებაც ხელთ უნდა ჰქონოდა. ამ გარემოებას ის ცნობებიც ცხადპყოფენ, რომელნიც ვახუშტსა აქვს თამარის მეფობის აღწერილობაში შეტანილი და რომელნიც მხოლოდ ამ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ნაწარმოებთგან შეიძლება რომ ამოღებული ყოფილიყო. ამგვარ ცნობათა ჯგუფს ეკუთვნის: ჯერ ერთი ამბავი კახაბერისძეთა მიერ ანტონი ქონდიდელის ორი ძმის მოკვლისა და თამარისაგან ამის გამო კახაბერისძეთა შეპყრობისა, ციხეში დამწყვდევისა და შემდეგ მათი მკაცრობაში გაძევების შესახებ, სიდაც ისინი ბრძოლაში დახოცილან (ბაქრაძე. საქართველოს ისტორია, 197),—შემდეგ ცნობა თამარის მეორე მამიდის მეორე რუსუდანის შესახებ, რომელმან შეიყვარა ქალწულება 80 წლისა დღეთა-ო, რომელთანც თურმე იზრდებოდა ოცსთა ბატონიშვილი დავით სოსლანი (იქვე 202),—აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ შანქორის ომში საქართველოს ჯარის გასტუმრების უმაღლეს თამარ მეფე ფეხშიშველი მივიდა მეტეხს და წარგზავნილი სპის ძლევაშობისათვის ევედრებოდა ღმერთს (იქვე 207), რომ მაჰმადიანი ხალიფას სთხოვდენ თამარ მეფის წინაშე გუშამდგომლა მათზე ხარკის დადებით დაკმაყოფილებულიყო, რაც დიდებულ გვირგვინოხანს შეუწყნარებია კიდევ (იქვე 211) და სხვა. რათგან არაფერი ამის მსგავსი

„ისტორიითა და აზმითა შარავანდედთა“-ში არ მოიპოვება და მხოლოდ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსსა აქვს მოთხრობილი, ამიტომ ყველა იმგვარი ცნობებისათვის წყაროდ ჩვენ თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულება უნდა ვიგულისხმოთ. მართალია ზოგიერთი ამ ამბავთაგანი ვახტანგისეულ სწავლულ კაცთ ქცის ტექსტში ჩაურთავთ და ამ ჩანართებითგანაც შეიძლო ვახუშტს ამოეკითხა, მაგრამ ზოგიერთი ცნობათაგანი, როგორც მაგ. კახაბერისძეთა დანაშაულობისა და დასჯის შესახებ და თამარის მამიდა მეორე რუსუდანზე, არც ამ ჩანართებში მოიპოვება და მხოლოდ თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების სრულს ტექსტშია. თავის დროზე განსვენებული დ. ბაქრაძე ერთი ასეთი ვახუშტის ისტორიაში შეტანილი ცნობის შესახებ რუსუდანზე ამბობდა კიდევ: „მეორე რუსუდან სრულებით არ არის ცნობილი და არა ჩანს, სად ჰპოვა ეს ცნობა ვახუშტიმ“-ო (იქვე 202, შენ. 1). მაშინ ეს მართლაც გაუგებარი იყო, ეხლა კი ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ იგი თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებითგან აქვს ბატონიშვილს ვახუშტს ამოღებული. ეს გარემოება სრულს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბატონიშვილს ვახუშტს თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულება სრულად და არა ჩანართების სახით უნდა ჰქონოდა. საფიქრებელია, რომ ეს ძველი მას ქცის ხელთნაწერიში შეტანილი ექმნებოდა. ხოლო რათგან ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა ისტორიკოსმა თავისი თხზულება მოსკოვში 1743 წ. დასწერა, ამიტომ ქცის იმის მსგავსი მეორე ხელთნაწერი, რომელიც ეხლა აღმოჩნდა და დღევანდელი ჩემი მოხსენების საგანს შეადგენს, რუსეთშიაც უნდა ყოფილიყო ვახუშტის და შესაძლებელია სადმე ეხლაც გადარჩენილი იყოს.

ჩვენი ისტორიკოსის ენა ოდნავადაც არ მიაგავს თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ხელოვნურს, რიტორული მჭერმეტყველებითა და ფილოსოფიური სკოლის მიმდევრობით მძიმე ტერმინოლოგიით დატვირთულს ენას. მისი მოთხრობა მკვირცხლად მიმდინარეობს, მსუბუქი, ლამაზი ენით არის გამოთქმული და მკითხველს თავისი ბუნებრივობითა და გულწრფელობით უნებლიეთ ჰხიბლავს. ამ მხრივ იგი ქართველ ისტორიკოსთა საუკეთესო წარმომადგენელთა მაგალითს მისდევს და მათ სკოლასა და ტრადიციებს არ ჰღალატობს. ამიტომ ის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან უფრო ახლო დგას, ვიდრე თავის თანამედროვე თამარის პირველ ისტორიკოსთან.

[ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი]

A 33,^a a დაჯდა მეფედ გიორგი, ძე დემეტრესი, დავითის შვილისა, ქორანიკონსა სამას სამოკდათხუთმეტსა: ამან დაყუნა მორქმასა შინა ყოველნი ჟამნი და დღე-ნი მისნი და იმეფა კეთილთა მეფობითა და მატა ყოველთა საყდართა, მონასტერთა და ებისკოპოსთა [წყალობასა¹]. ამას შვილი არა ესუა და მისთვის მწუხარე იყო უშვილოებისათვის. მერმე ინება ზეგარდამო მოწყალებამან ღთისამან და იყო მობერვად ნიავმან ამოხმან და იშვა მათგან ქალი, ქმნილ-კეთილი, ყოვლითურთ უნაკლო და შესატყუისი. ამას დაარქუა სახელი თამარ.

A 33,^a b გი და იქნა გლოვა და მწუხარება უზომო უფროსდა დასა თუისსა რუსუდანს. ესე იყო სძალ-ყოფილი დიდთა სულტანთა შამირამელთა და დედოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა, რომელი სიჭურვივისათვის თუისსადვე მამულად მოყვანებული, დედოფლად დაჯდა ქართველთად უფროსდა დიდებად სახლისა თუისისად და ყოვლისა ამის სამეფოსა. ამას წინაშე იყო თამარ მაშინ, ვითარცა თუისსა მამიდასა თანა, დითურთ თუისით, რომელსა რუსუდანვე მოაქუნდა სახელად, რომლისათვის აწ დამაკლებს წინამდებარე ესე მითხრობად, თუ რაოდენ შეუნიერება და თავდგმულობა ექნა ყოველთა პირველ მისსა ყოფილთა დედოფალთა. ვიკადროთ რამე, რამეთუ ოთხმოცისა წელიწდისა დღეთამან შეიყუარა მტკიცედ ქალწულება, სიწმიდე და სიკეთე დიდად სრული.

A 33,^a a და ჩუენ პირველსავე სიტყუასა წარუძღუეთ. გლოვა იყო ნამდულივე ღირსთა, არამედ არა თავს იღვეს წარჩინებულთა სამეფოსათა, მიმხედველთა თამარისთა, განიყარეს გლოვა და დასცეს საყურისა, ვითარცა ოდესმე სოლომონისთვის, და დადგეს სუიანი ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი, რომელი პირველ მთოვარისა განამზადა მეფეთ-მეფემან საბათოელომ სამფლობელოდ ზღუთით-ზღუამდი და მდინართგან კიდემდი სოფლისა. აღმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჯუარისა და მისთანა; დროშა დავითისი, არაოდეს მობერილი წინააღმდეგომთგან ნიავთა. და ყოველთა ერთა ჳმა-ქმნილთა აწუიეს თამარს ჳრმალი მამული თანა-საყდრიითურთ მამისა მინიჭებულთ.

ლიტონადმე მიიღოა დიდმან ამან გონებამან, არა, ნუ იყოფინ. უმშუენოდ-მე შეიწყნარა იგი გურიგუინმან და მეფობამან, ანუ არა მალნანტ ექმნა ყოველსა თულსა თუისად? ვინ ძუელი სიტყუა აქა ახლად ვიკვმართოთ «ბრმა-შობილმან ბრმაღვე წარვლოა უმხედველომან თამარისმან. ტანსა ზომიერსა გრემანობა თულათა და ლაწუთა სპეტაკთა ზედა ვარდებრივ ფეროვნობა, მორცხუივ ხედვა, ლალი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და უღიზღო სიტყუის სი-

* 2 ძე დავითისი დემეტრეს შვილისა A.—7 დაიწყო A; ამომან A.—8 უნაკლული A.—11 შამირამეთი A.—13 დაბად A.—18 დღემან A.—20 ლოვა A.—24 საბოეთელი A.—25 სიპტრა A.—27 ნიეთა A; ჳმა-ქმნილნი A.—29 ლ იტონადმე A.—34 სინარენ A.

¹ ეს სიტყვა ხელნაწერში არ არის და კონტექსტისათვის ჩამატებულია ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი მ ვ ი ლ ის მიერ .

ნარნარე და ზრახვისა უჩუგნობა. არა ცუდად დასდვა ღმერთიან მაღლად თამარს ესრეთ შემკულობა, რომლისათვის არა უჯგრო მიჩნს თქმად, ვითარმედ პირი ამისი პირველვე იქო დავითის მიერ თქმითა რათა ლიტანიოობით¹ თაყუანის სცემდენ მეფენი და მთავარნი და მეძღუნებდენ ნათესავნი.

ესრეთ იდიდა ღთის ყოველთა პირთავან. იხილეს რა ჯელისუფალობა² მღღელთ-
მლოქღუართათა მეფე გურიგურინოსანი და ქება შეასხეს ძალითა საქებელსა ჯმითა
A 33, a ხარულსა || ქუეყანისათა და ესე უსაკურიველეს მიჩნს ყოვლისა მე. რომელ
სხუა მგედარი არაოდეს იხილა მის ჟამისათა მამადებრ მეფედ და ყოველნი
ვითარ გამოცდილნი სასოებითა წინასწრობითა უძღოდა³ ერთი-ერთსა და
10 სიხარულითა სავესენი ღთსა ჰმადლობდეს, მეფესა აქებდეს და თავთა ჰნატ-
რიდეს:·

დაჯდა ნებითა ღთისათა თამარ მეფედ დასაბამით განთა
წელთა ექუსიათას [sic] ექუსას ოთხმოცდა ექუსსა, ქრონიკონსა ოთხას და
სამსა:· შვილი მეფეთ-მეფისა გიორგისი, დიდისა დავითის ძისა, დემეტრეს ძი-
15 სა, ცოლისაგან ბურღუხან ოგსთა მეფისა ასულისა, რომელი ჰმატდა სიკეთესა
დღდათასა სხუთა ყოვლითა, გარნა თამარის დედობითა. შძალი სხუა მისებრი
მაშინ არა ეხილვა ქართლისა თემსა და შემდგომითი-შემდგომად აქონ.

ამიერითვან რა ჯერ აქრს თამარისი თქუმად. გარნა მონაცვალეობა⁴ ღთი-
A 33, b სა სამეფოსა და ერისათვის, რამეთუ აღიღო ვანება მაღლად და მღაბლითა
სულითა, განიცადა სიდიდე საქმისა, მისდა რწმუნებულისა, მიაყუნა მყუანებელ-
სა თუისსა ზედვა და იწყო განგებად, ვითარ იგი მობერვიდა სული. მიმოიხილა
სიმახუილითა ცნობისათა თუისსა გარემო ყოველი და მყისსა შინა შეემეცნა
ხილვითა ოდენ, წრფელთა [და] დრკუთა, გულარძნილთა⁵ და უმანკოთა, ერთ-
გულთა და ორგულთა. და სიბრძნითა გონებითა თუისითა პირველად ყოველთა
25 ზედა დასხა წყალობა უხვევით⁶, რათა ჟამთა საქმეთასა ერთნი ერთგულობით
მაღლიერობდენ, ხოლო მეორენი უსიტყუელ იყუნენ მიგებისათვის სამართლისა.

4 მეფეთა A.—5 სრეთ A.—15 II ძისა| ძისაგან A.—19 არნა A.—20 აღიღონ A.—21 სულითა+და A.—25 გონებითა| განგებითა A.—26 უხვევით<A.—27 მიგებისათვის სამართლისა| უშურველად წყალობათასა (ქცა).

¹ ეს სიტყვა ივ. ჯავახიშვილს ჩაუწერია სტრიქონს ზვეით კითხვის ნიშნით; ამ სიტყვის ადგილას ხელნაწერში სწერია «ლიტონებით».

² ამ სიტყვის ადგილას ხელნაწერში იკითხება „ველითა“, ხოლო ივ. ჯავახიშვილს ზვეიდან დაუწერია: „ველითა-ველისუფალობა“.

³ ხელნაწერში ეს სიტყვა ასე სწერია, მაგრამ ივ. ჯავახიშვილს მის ზვეით ფანქრით დაუწერია „უძღოდეს“.

⁴ ამ სიტყვის ზემოდან ივ. ჯავახიშვილს უწერია; ქცა 405—407—412 (იგულისხმება ხ. ჰიკინაძის გამოცემა).

⁵ ამ სიტყვიდან მოყვლემული ვიდრე «ორგულთა»-მდე (ჩათვლით) ხელნაწერში არაა და ტექსტში შემოტანილია „ქართლის ცხოვრებიდან“ (იხ. ხ. ჰიკინაძის გამ. 405).

⁶ ეს სიტყვა ხელნაწერში არაა და აქ შემოტანილია „ქართლის ცხოვრებიდან“ (იხ. ხ. ჰიკინაძის გამ. 405).

A 33, a a ხოლო სჯულთათჳის სულითა მეორე კოსტანტინე იქმნებოდა და ში-
სებრეჲ ჰგოროვნებდა დაწყებასა საღმრთოსა საქმეთასა¹, რამეთუ იწყო აღლე-
სვად ორპირ[ი]სა მახული[ი]სა მოსასრველად თესლთა ბოროტთა და || ინება,
რათა იქმნას შეყრა და გამორჩევა დიდთა მათ და მსოფლიოთა [კრებათა].

პირველად აღმოუწოდა წმიდით ქალაქით იერუსალემით ნიკოლოზს გუ- 5
ლაბერისძესა, რომელსა სიმდაბლისა ძალითა ეჯგნა ქართლისა კათალიკოზო-
ბისაგან. ესე რა მოიყვანა, შემოკრიბნა ყოველნი სამეფოსა თუისისა მღღელთ-
მოდღუარნი, მონაზონნი და მეუღაბნოენი, კაცნი მეცნიერნი სჯულსა საღმრთო-
სანი და მოსწრაფე იყო, რათა მართლ-მადიდებლობასა ზედა [აღმოცენებულნი]²
თესლნი ბოროტნი აღმოფხურნეს სამეფოსაგან თუისისა. რომელი ესე აღრე გა- 10
ნემარჯუთა სასოებისა კეთილისა მქონებელსა.

A 33, b b ხოლო შემო-რა-კრბეს ორისავე სამთავროსა ებისკოპოსნი, რომელთა პი-
რად აქუნდა ზემო მოქსენებული ნიკოლოზს, მსგავსი სეხნისა თუისისა, და ან-
ტონი ქუთათელი საღმრთის ძე, დიდად განთქმული სათნოებათა შინა და ძლიე-
რი საქმით და || სიტყუით. მიეგებოდა მათ თამარ დიდითა სიმდაბლითა, ვი- 15
თარცა კაცი და არა მეფე, ვითარ ანგელოზთა და არა კაცთა. შეკრიბნა ყო-
[ვ]ელნი ერთსა საღგურსა და დასხნა საყდრებითა, ხოლო თუით დაჯდა შორის
მათსა მარტოდ და არა მეფობით და ესრეთ ეუბნებოდა: «ში წმიდანო მამანო,
თქუნე ღთისა მიერ განჩინებულ ხართ მოძღურად ჩუენდა და მმართველად
წმიდასა ეკლესიასა და თანა გაც სიტყუის მიცემა სულთათჳის ჩუენთა. გამო- 20
იძიეთ ყოველი კეთილად და დამტკიცეთ მართალი, ხოლო განჯადეთ გულარ-
ძნილი. იწყეთ ჩემ ზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა
ღთისა მბრძოლობისა. ნუ თუალ ახუამთ მთავართა სიმდიდრისათჳის, ნუცა
გლახაკთა უღედ-ჰყოფთ სიმცირისათჳის. თქუნე სიტყუითა, ხოლო მე საქმით,
თქუნე სწავლით, ხოლო მე განსწავლით, თქუნე წურთით, ხოლო მე განწურ- 25
თით ზოგად ჳელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებელად, რა-
თა არა ზოგად ვიზღუდუნეთ: თქუნე, ვითარცა მღღელნი, ხოლო ჳე, ვითარცა
მეფე, თქუნე, ვითარცა მნენი, ხოლო მე, ვითარცა ებგური».

A 33, a a ესმენს რა სიტყუანი ესე ყოველსა მას კრებულსა მამათასა, მადლობდეს
ღმერთსა და თანად მეფესა ღთივ-განბრძნობილსა. ჯდა უკუე თამარ მცირედ- 30
ჟამ შორის მათსა, მერმე მოილო კურთხევა მათგან და წარვიდა პალატად თუი-
სად.

ხოლო წინამძღუართა კრებისათა ნიკოლოზს და ანტონი, რომელნი³ ვითარ

2 საქმეთასა <A—3 მოსასრველად + უღმრთოთა და (ქ'ცა)—5 პირველთა A; იელუსარე-
მით A.—6 კათალიკოზობისაგან A.—7 თუისსა A.—8 საღმრთოსა A.—28 ფგბური A.

¹ ეს სიტყვა ზელნაწერში არაა და ტექსტში შემოტანილია ივ. ჯავახიშვილის მიერ
„ქართლის ცხოვრებიდან“ (იხ. ზ. ჰიკინაძის გამ. გვ. 406).

² ეს სიტყვა ტექსტში შეტანილია თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ. ამ სიტყვის
ადგილას „ქართლის ცხოვრებაში“ სწერია „შემოთესილინი“ (იხ. ზ. ჰიკინაძის გამ. გვ. 406).

³ ამ სიტყვის შემდეგ სტრიქონის ქვემოთ ივ. ჯავახიშვილს უწერია ორი სიტყვა:
„[იყუნეს?] ბაწყინვიდეს?“. მაგრამ რადგან ეს სიტყვები სავარაუდოა და კონტექსტისათვისა
მაინცადამაინც არაა საჭირო, ამიტომ ტექსტში არ შეგვაქვს.

პირმეტყუელნი მთიებნი უძლოდეს მომრგვალებასა ცაებზრისა მის ვარსკულავთა კრებულისსა, არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოზი, რამეთუ წინაუქმობა რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა და ჭყონდიდელ-მაწყუერელობა და¹ მწიგნობართ-უხუცესობა მოვევრა² ვა უფლისაგან. არამედ ვერა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად ილუაწეს, რომელი ადრე თუით განაყენა 5
სასჯელმან ღმრთისამან. ხოლო სხუანი ვინმე ებისკოპოსნი შეიცვალნეს [და] მათ წილ საღმრთონი კაცი დასხნეს და სხუანი საეკლესიოანი წესნი განმართნეს უღებთა მიერ დაჯსნილნი.

ხოლო აღივსებოდა რა კრება, შემოვიდეს ყო[ვ]ელნი სპასალარნი და ერის-თავნი სამეფოსანი და მოაჯსენეს მამათა, რათა ზოგად ილუაწონ შემოყუანებად 10
სიძისა თამარისათუის, რომელი ყვესცა. და შემოკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა და განზრახებითა ყოველთათა წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ ქრისტიანობისა და მართლ-მადიდებლობისათუის მათ ნათესავთასა. და ესე ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერ იყუნეს, რომელსა იგი მოიყუანებდეს. 15

შემდგომად ქამისა მოიწია კაცი იგი || წარვლინებული და მოიყვანა კაცი დიდად გუარანი, უდიდესი ყოველთა მათ მეფეთა მის კერძოსათა და სახითაცა არა უმარჯუი. რომელიცა იხილეს რა, ყოველთა კაცთა სთნდა, რამეთუ არარას მეცნიერ იყუნეს ჩუეულებისათუის მისისა. 20

შეკრბეს² წინაშე რუსუდან დედოფლისა პატრიარქი და დიდებულნი, სპა-სეტნი და ერისთავნი და აცნობეს თამარს და აწუეედეს ქორწინებასა და უსწრაფობდეს ამის პირისათუის. არამედ იგი მიუგებდა, ვითარმედ ჯაცნო, ვითარ ღირს შეუტყუებელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის ჟცხოვსა ქცევა, და საქმე, არცა მგებრობისა, არცა ბუნებისა, და არცა ქცევისა. მაიკლეთ, ვიდრემდის განიცადათ ყოველთა სიკეთე, გინა სიღრკუე მისა. 25

ხოლო იგინი წინააღუდეგბოდეს, უშვილოებასა მოაჯსენებდეს, სახლისა მისისასა უნაყოფოებასა დრტუინვიდეს, წინამძღვარსა სპათასა ითხოვდეს, და ყოველითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა, და ირემსა ემსგავსებოდეს სახისა ოდენ მიხედვითა, პილოთაებრ არა განიხილვიდეს მისაყრდნობელსა || და ყოველითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა და ესეოდენ მძიმესა საქმესა სუბუქად შეეხებოდეს. 30
რასალა [მრავალსა ვიტყოდით³] შემდგომად მრავლისა ცილობისა თუინიერ ნებისა მისისა ყვეს ქორწილი და მრავალ-ჟამ იყუნეს განცბრომისა შინა, მსგავსსა საქმისასა.

1 მომრგვალებასა: ებრის A.—2 ქათალიკოზი A.—3 იწყო იყო (ქცა).—4 მაწყუერელთ მწიგნობართ და უხუცესობა A; უფლისაგან ქამისაგან A.—6 სასჯელმან სჯულმან A.—9 აღესებოდა A.—18 რა < A.—23 ქცევა ქმნა A.—24 I არცა არა A.

¹ ხელნაწერში სწერია «მაწყუერელთ-უხუცესობა»; რაც შეეხება ორ სიტყვას „და მწიგნობართ“-ს, ისინი ტექსტში შემოტანილია ივ. ჯავახიშვილის მიერ „ქართლის ცხოვრებიდან“ (იხ. ზ. ჭიჭინაძის გამ. 407).

² «შეკრბეს»-იდან მოყოლებული ვიდრე სიტყვამდე «და აცნობეს» ხელნაწერში არაა დატესტში შემოტანილი ივ. ჯავახიშვილის მიერ „ქართლის ცხოვრებიდან“ (იხ. ზ. ჭიჭინაძის გამ. გვ. 412).

³ ეს ორი სიტყვა კონტექსტისათვის არის ჩამატებული ივ. ჯავახიშვილის მიერ

არაჲ-მრავალთა დღეთა შემდგომად, მიიღო აღსასრული სიტყუამან თამარისმან და განოაჩნდებოდეს რუსსა სკუითურნი ვითარ ნაღებნი² ბუნებითნი. და სიმთრავლეთა შინა საძაგელთა უწესოებად იწყო მრავალთა, რომელთათუის ნამეტნავ არს წერად და [თქუმაღ³], რათა არა სიგრძედ მიიწიოს სიტყუა.

ორისა და ნახევრისა წელთა, ვითარ გურდემლი, მოითმენდა მენე თამარ⁵ უკეთურებათა რუსისათა, გარნა სხუა ვერღარავინ მოითმენდა. და იწყეს ჭრტინვად, არამედ ცილობათა მათთუის პირველთა რცხუენოდა ყოველთა თამარისაგან⁴.

A 34,2 a ხოლო ბრძენმან თამარ იძია მრავალი ღონე განკურნებისა მისისა და ||უბრძანა სარწმუნოთა მონაზონთა პირითა მრავალ გზის, დაღათუ ყო[ვ]ლად არა 10 სარგებელ ეყო რუსსა. ამისთუისცა თუით პირის-პირ იწყო მხილებად მისდა, არამედ უფროს განძუნდებოდა რუსი, ვითარცა ღრთისაგან საფარველ-მოძურცილი. ვითარ იტყუის წერილი, «გკურნებდით ზაბილონს და არა იკურნებოდა»; არა თუ ოდენ არა შეიგონა, არამედ უძუირესთა მიმართ იწყო და შერაცხილნიცა კაცნი უბრალოდ გუემნა და ასოთა აღმოვლებითა ტანჯნა. 15

I კორ. 7, 10 ებრ. 13,1 A 34,2 b შეუძნდა ესე ყო[ველი] თამარსცა და წინაშე ყოველთასა ესრეთ თქუა: დაღათუ საღმრთოსა სჯულისა მიერ სწავლულ ვარ მე «არა განშორებად პირველსა საწოლსა», არამედ, რომელმან არა დაიცივას საწოლი თუისი წმიდად, არა ჯერ არს მის თანა დათმენა, რამეთუ შემავინებელ არს ტაძრისა ღრთისა. და მე არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად და უბრალოდ || გან- 20 ვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ». ესე თქუა და აღდგა და დაუტევა იგი. ხოლო რუსუდან დედოფალმან და ყოველთა მთავართა საწყალობელად განაძეს იგი და არა ეგეოდენ უბადრუკი მეფობისაგან დამკობითა, რაოდენ შეუნიერებისაგან თამარისსა დაკლებითა.

4 კუალად იწყეს ურვად ყოველთა, რამეთუ თამარს ხედიდეს უშვილოდ და 25 მარტოსა მკუიდრად სახლისა თუისისა.

იყო უკუე შვილი ოვსთა მეფისა, გაზრდილი რუსუდან დედოფლისა, ყრმა ფრიად შეუნიერი ასაკითა, ვითარცა შეუენის მეფეთა შვილსა, სხუითა კულა ზრდილობითა კეთილად წურთილი, მენე და მენედარი ძლიერი, რაინდობითა უსწორო, მშუილდოსნობითა შემმართებელი, ტანითა ახოვანი და ყოვლითურთ 30 სრული სიკეთითა. ამისი ინებეს ყოველთა შეერთება თამარისი და საქმე ღრთსა მიანდვეს. თამარცა მიემორჩილა ნებასა მათსა მეცნიერებისათუის ყრმისა.

A 34,3 a

2 ნადებთა A.—10 ყოლად A.—11 პირის პირ| პირის A.—22 რამ რუსუდან (უკანასკნელი სიტყვა მერმე წაშლილია მელნით).

1 ამ აბზაცის წინ ივ. ჯავახიშვილს უწერია: ქცა 417—418 (იგულისხმება ზ. ჭიჭინაძის გამოცემა).

2 ამ სიტყვის გასწვრივ ამაზე კითხვითი ნიშნით ივ. ჯავახიშვილს უწერია: „ქცევანი, ზენი“.

3 ეს სიტყვა ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ, სწვრთა სტრაჟონის ზემოთ კითხვის ნიშნით და ჩასმულია კუთხოვან ფრჩხილებში.

4 ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილს უწერია: «გაგრძელება იქნება 419, 423» (იგულისხმება ზ. ჭიჭინაძის გამ.).

არღარა ყოვნეს, არამედ შეიყარნეს დიდუბეს და შერთეს დავით თამარს. შემოვიდეს ტფილისად, დასხდეს ტახტსა ბედნიერსა ორნი მნათობნი, ორნი მზენი, ორნი განმანათლებელნი. განიხარა დიდითგან მცირემდე ყოველმან ერმან და ნიშანნი ცხორებისანი მაშინვე იხილებოდეს მათ ზედა: იყუნეს ლაშქრობანი გამარჯუებულნი ზემოთ და ქუემოთ, და არა სადათ ვინ ჩნდა წინააღმდეგომი. 5

მოკულდა ქართლისა კათალიკოზი, ჭყონდიდელ[ი], მწიგნობართ-უხუცესი, ქართველი, მირიანის ძე მიქაელ, რომელსა აქუნდა სამთავისცა, და არავინ შეწუხნა მისთვის, არცა დიდი, არცა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს.

მოკულდა ამირ[სპასალარი გამრეკელი და ესე ყოველთა იგლოცეს.

A 34, a b ამას ჟამსა მცირედ რამე აღიძრნეს იმერელ-სუანნი მსგავსად ჩუეულობი- 10
სა ურჯულობისა და რუსი მოიყვანეს, რეცა ოკულად განსამეფებლად. ეუბნებოდეს მესხთაცა მიროთვასა, რომელი ვერა უძღეს, არამედ უფროსლა შეიმტერნეს. გააქცივნეს და წავიდეს სირცხულიელნი, რამეთუ ღთი თამარისთვის მოურნეობდა.

ხოლო თამარი ევედრებოდა ღთსა და იგონებდა თუ ვის მიანდოს და- 15
ვით, და სპა თუისი, და განსაგებელი სახლისა თუისისა, რომლისათუისცა არა არცხუნია ღთმან, არამედ ალავსო სიბრძნითა და მეცნიერებითა. და მიმოიხილა ყოველთა ზედა სამეფოსა თუისისა მთავართა, და განიცადა თუალითა გონებისათა, მიანდო ღთსა საქმე, მოიყვანა ანტონი გლონის თავის-ძე გარეჯით, რომელ პირველ ჭყონდიდელ იყო და მიქაელ [ქართლისა] კათალიკოზმან მას მი- 20
სტაცა, მოძმაცვითა ვიეთ[თა]მე მეფისა განმზრახთათა, ესე მოიყვანეს. ნამდუღლვე კაცი ღირსი ქებისა, ჭეშმარიტი ქრისტიანე, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე ყოველთა, ოტკბილი, მდაბალი, პატრონისა ერთგული უზომოდ. ეკლესიათა და მონასტერთათუის რადლა საჭმარ არს თქუმაღ: თუით წამებენ ქმნილნი მისნი ყოველთაგან, ვითარცა მლუიმესა და კლარჯეთს თუით მის 25
მიერ ქმნილსა მონასტერსა და ყოველთა ადგილთა. ესე დასუეს ვაზირად, მისცეს ჭყონდიდთ, სამთავისი, კისის-ვევი და მწიგნობართ-უხუცესობა, რამეთუ მართალსა უეთუ უბრკუმეს, არავე დაეცეს.

A 34, a იწყეს განზრახვათა კეთილთა სამეფოსათუის და ერისა უმჯობესთა: მოი- 30
ყვანეს¹ სარგის ამირ[სპასალარისა მწარგრძელისა ორნი ძენი, ზაქარია და ივანე,

A 34, a b იწყალნა. და ზაქარიას უბოძა ამირ[სპასალარობა და უმცრ[ქოსსა დღითა, ივანეს, მსახურთა-უხუცესობა. ესე კაცნი ღირსნი იყუნეს კაცობისანი: დაღაცათუ 35
საჯულობითა სომეხნი იყუნეს, გარნა ყოველითურთ მართ[ლ]-მადიდებლობისა მოსაგნნი. ესე ივანე წერილთა ზედამიწევნითა სწავლული იყო, რომლისათუისცა გულისკმა ჰყო სიმრუდე საჯულისა სომეხთასა, ნათელ ილო და იქმნა ჭეშმარიტ ქრისტიანე.

18. თუისსა A.—20 ქათალიკოზმან A.—21 მოძმაცვით ქცა. ნანდილვე A.—22 უმანკონი A.

¹ ეს სიტყვა ჩამატებულია ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ლ ი ს მიერ.

² ეს სიტყვა ზელნაწერში სწერია სხვა ხელითა და სხვა მელნით.

და შემდგომად ამისა მოიყვანეს ჭიბერი, კაცი ესეცა მართალი და ერთ-
გული, და მისცეს მანდატურთ-უხუცესობა. და დღითი-დღე წარმატებოდეს
საქმენი თამარისნი უმჯობესად და უკეთესად ბრძნად და მართლად განგებისა-
თუის.

ამიერითგან გონება უკმს ვრცელი და ენა ბრძნად მეტყუელი¹, რომელ- 5
მან შეუძლოს აღწერასა მიცემად წარმართებანი თამარის საქმეთანი, რამეთუ
ვითარ თმანი თავისანი თუითუფლად ვერავინ აღრიცხუნეს, ეგრეთვე ვერცავინ
ესენი აღწერნეს, და რომელთაცა ოდენ შეუძლოს, საეჭუელ მიჩნს მომავალთა-
გან შემდგომად არა დარწმუნებად. გარნა ლომი ბჰალთავან საცნაურ არს და
თამარ საქმეთავან: ვის უნდეს ცნობად, იხილნეს ქალაქნი, ციხენი და თემნი 10
სულთანთა სასხდომნი, მისა და ახმელნი, მზლუარნი, რომელნი მას დახუდეს მას
გარეთ მისსა სამეფოსა, ორად განფართოქებულნი, და ამისგან ცნას მეძიებელ-
მან საქმეთამან. მერმე ცნას ერასამდის ქუემოთ მისგან დადებული ხარაჯა და
ბაღდადის კერძ მარლამდის. და თუით იგი ხალიფა შეშინებული და მოაჯე კმა 15
არს ქუე-ჯდომით მოქმედისაგან.

ითქუმოდენ წერილისა: «მოაკლდენ ძალი ბაბილოვისა და აღაშენა მთა
ემორისა, განქარდა კუამლი სუბაკთა და განძლიერდეს ბჰენი სილიმისანი».

ესევითართა წყალობათან შინა ღთისთა იშუებდა ერი ქრისტიანეთა, გარ-
ნა წუხდეს და იურგოდეს უნაყოფოებისათუის თამარისსა, არამედ ღთმან, რო-
მელმან მოხედნა პირველ მანოეს || და აბრაჰჰამს, და მდედართაცა ანნას, და 20
მისჯ. 13, 2 ელისაბედს, არა ყოენა არცა აქა, რამეთუ შემდგომად მცირედისა ჟამისა და-
შეს. 24, 2 ორსულდა თამარ და ცნეს ყოველთა, იწყეს ლიტანიობითა ღთის ვედრება-
ლუკ. 1, 21 თა, მარხვითა, ლოცვითა და ცრემლითა, რათა მისცეს ღთმან შვილი წული,
რომელი ესე იქმნაცა და შვა შვილი ყოვლითურთ მსგავსი პაპისა. და დაარქუეს
სახელი გიორგი, და განიხარეს ყოველთა სიხარულითა მიუთხრობელითა. 25

და შემდგომად წელიწდისა კუალად დაორსულდა და შვა ასული, თუისი
შემსგავსებული, რუსუდან, რომლისათუის კუალად უფროსი სიხარული შეიქმნა
ყოველთა ზედა.

და უმეტეს გარდაემატა ბედნიერობით ქუეყანა ყოვლითა კეთილითა და
განმარჯუებითა ლაშქართათა. იწყეს ყოველგნით რბევად სპარსეთისა და იქმ- 30
ნებოდეს განმარჯუებანი საკუირველნი: ციხეთა მქონებელნი ბრძანებოილა ოდენ
დასცლიდეს; ტყუისა და აღაფისაგან აღივსო ყოველი კაცი. ხოლო დაშთომილ-
ნი მათნი, ვითარცა შელნი იმაღვოდეს, და ვითარცა მთხუნველნი ძურებოდეს
მიწათა შინა.

შეიწრდეს ყოვლით კერძონი სპარსნი და უღონოებამან მოიკუნა და მხო- 35
ლოდ ერთიდა სასოება ცხორებისა მოიპოეს; ესე იგი არს სიკუდილითა ჯნა
თავისა. ამისთუისცა შეკრბეს ყოვლით კერძო შთქმულებითა, შეიღებნეს სამო-
სელნი და პირნი, და მივიდეს წინაშე ხალიფასა, აუწყეს თუისი ჭირი და აწუ-
ევდეს, რათა უბრძანოს ყოველსა სპარსეთსა შეწვენად მათდა. რომელი ესე ყო-
[ცა] ხალიფა: განახუნა ძუელნი საგანძურნი და იღუმალ წარავლინა კაცი ყო- 40

¹ სიტყვები «გონება—მეტყუელი» ზღნაწერში არ არის (ამის ნაცვლად იქ მხოლოდ ორი სიტყვაა «განება ღირს») და აქ შემოტანილია იგ. ჯავახიშვილის მიერ «ქართლის ცხოვრებიდან» (იხ. ზ. ჭიჭინაძის გამ. 422).

A 34, 5 a

A 34, 5 b
მისჯ. 13, 2
შეს. 24, 2
ლუკ. 1, 21

A 34, 5 a

M 461, 11

A 34, b ევლსა შინა სპარსეთსა, მისცა ოქრო აურაცხელი, რათა შეკრიბონ ყოვლით კერძო ლაშქარი ურიცხუი. და მისცა ბრძანება, რათა, რომლისაცა სამთავროსაგან სპარსთასა არა წამოვიდნენ, თუთ მათ ზედა მისლვითა იავარ ყუნენ. ესე ესრეთცა იქმნა: იწყეს ამოღმართ რომ-გუთროს და ინდოეთისა და ქუემოთ სამარყანამდი და დარუბანდამდი. შეკრბა ესეოდენი, ვიდრემდის არცა რიცხუი იცოდეს და ვერცა ერთსა თემსა დაეტეოდეს. შეკრბეს ადარბადაგანს და მაშინდა გამჟღავნეს წაკიდება თუისი.

M 462, 1 ესმა ესე ყოველი თამარს და მოუწოდა ყოველთა ვაზირთა თუისთა და შეიქმნა გამორჩევა. უბრძანა ჰყონდიდელსა ანტონის არა ავითა გულითა, არცა დედაკაცურითა სიტყუითა, არამედ ესრეთ: «ისწრაფეთ დაწერად და მიმოდადევით ბრძანება, რათა მსწრაფლ შემოკრბეს მვედრობა და კულად მიუძცენით ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადებულნი ღამისთევანი და ლიტანიობანი აღესრულებოდინ ყოველსა ადგილსა, და წარგზავნეთ ფრიადი საფასე და საწმარი გლახაკათუის, რათა მოიცალონ ლოცვად და მოწყალე ყონ ღთი, ნუ სადა თქუან წარმართთა «სადა არს ღთი იგი მათი».

A 35, 1 a ესე უბრძანა და ბრძანება საქმე იყო. და ათსა შინა დღესა, ვითარცა გროი შავარდენთა, მოფრინდა ყოველი მვედარი, ყოვლით კერძო, სავსენი სიხარულითა, რომელნი ძალით იპყრობოდეს თავთა შინა [თუისთა]». შეკრბეს სომხითს შინა. და მივიდა თამარ, იხილნა. დაჟუნეს მცირედნი დღენი მათცა ლოცვისათუის. მერმე რქუა მათ: «ძმანო ჩემო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენი სიმრავლისა მათისათუის და სიმცირისა თქუენისა, რამეთუ ღთი ჩუენ თანა არს. გასმია გედგონისათუის სამასნი და სიმრავლე ურიცხუი მადიამელთა მათ მიერ მოწყუდილი, კულად ასურასტანელთა ბანაკი ლოცვითა ეხკიელისითა წამსა შინა ანგელოზისა მიერ დაცემულნი? მხოლოდ ღთსა ოდენ მიენდევით და გულნი თქუენნი სიმართლით იპყრენით წინაშე მისსა და სასოება ყოველი ჯუარისა მიმართ ქრისტესისა იყავნ. შეისწრაფეთ ქუეყანად მათდა შეწყვენითა ყოვლად წმიდისა ღთის-მშობლისათა და ძალითა უძლეველითა ჯუარისათა წარმართენით».

მსაჯ. 7, 16
მსაჯ. 8, 11

A 35, 1 b
II ნმშტ.
32, 31

ულოცა მათ და შეავედრნა ღთსა, წარუძღუნა ძელი ცხორებისა და თანა წარატანა ანტონი ჰყონდიდელი.

ხოლო თუით წარიჯანდა სამოსელნი ფერჯთანი და ფერჯე შიშულითა ფერჯითა მიიწია ტაძარსა ღთის-მშობელისასა მეტეხთა და წინაშე ხატსა მას წმიდისა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად, ვიდრემდის სრულყო ღთიმან სათხოველი მისი. რამეთუ შემდგომად მცირედთა დღეთა მოიწია სარგის მვარგრძელი თმოგუელი და მობართუა სახარება ლაშქართა გამარჯუებად.

A 35, 2 ბისა და ყოვლითუერთ უნაკლულოებად მვედრებისა. არამედ აწ ჯერ არს მოკუნებებად, თუ ვითარი შეწყვენა მოიღეს თამარის ცრემლთაგან სპათა ჩუენთა. შევიდეს უკუე ქუეყანად მათდა, და იხილნეს განძან

5 და>A, ესეოდენ A.—6 არდაბადაგანს A.—26 მითდა მათად A.

¹ ეს სიტყვა კითხვითი ნიშნით სტრიქონზემოთ სწერია და, როგორც ჩანს, იგ. ჯაკვაჩი იშვილის მიერაა ჩამატებული (არც ხელნაწერშია და არც ქცა-ში).

და შამქორს საშუალ მდგომნი, რომელნი სიმრავლითა უმეტეს იყუნეს რიცხუსა, ვითარცა მკალნი.

M 468, 1 მისი გარდაიდეს¹ ცხენთაგან ყოველნი, თაყუანის სცეს ღმრთისა და წმიდასა
 A 35, 2 b ჯუარსა ევედრნეს ცრემლითა და, ვითარ არწივთა, მიმართეს და, ვითარ ეფეხნი
 M 468, 10 ეკუთვნეს. და პირველსავე წყობასა ათეკვი რაზმი მათი დაჰსნეს და შესდგეს მა-
 ხუილი მათი და ძალი ღმრთისა და, ვითარცა თავუთა, მოსრვიდეს და, ვითარცა
 ქათამთა იპყრობდეს დიდთა მათ ამირათა მათთა ბაღდადეგთა და მუსულელთა,
 ავრიელთა და ერაყელთა და ადარბაღაგანელთა და ერანელთა და სხუათა მრავალთა
 A 35, 2 b ადგილთასა, რომელნი ნიჟაქადლ || ჰყვეს, ვითარ ვთქუა ინდოეთილგან მზარეულნი.
 M 468, 10 წუერთა ზიდვით მოიყვანებდეს წინაშე დავით მეფისა. და იხილებოდა დიდი
 და დიდი, საკურთხევლი და გარდამატებული შეწევნა ღმრთისა, რამეთუ თუით მოი-
 ელბდეს საქონელთა მათთა და თუით მოასხმოდეს აქლემთა და ჯვართა-კიდებულთა,
 და თუით იყუნეს მსახურ იავარისა მათისა და ნატყუენავისა.

ხოლო ათაბაგმან ბუბაქარ აქო თუისი ონე და ღონიერება, რამეთუ მიწვე-
 ნულმან ჯნარცუსა სადმე მცირესა მიწასა შინა დაფლა თავი თუისი.

A 35, 2 a ესრეთ მოწყალებათაგან ღმრთისათა აღესებულნი მიიწიენეს განძად, და გამოეგებნეს
 მოქალაქენი, თავთა თუისთა მშუიღობა ითხოეს და ქალაქი ნებსით შესწირეს.
 შეიყვანეს დავით დარბაზსა შინა, ტახტსა სასულტანოსა ზედა დასუეს,
 ფანჯანობათსა სასულტანოსა უკრეს და ღორის ჯორცითა დიდად ძალი პურობა
 A 35, 2 a გარდაიჯადეს. || ყოველთა მის წინაშე განძელთა დიდი ძლუნენი და ხარაჯა
 შესწირეს, გაჰსნეს საჭურჭლენი მათნი და მრავალი ტურფა ფილ-ჯამი და ფეშხუნები
 სხუისა თანა განძისა მრავლისა წარმოიღეს. და გარეგან ქალაქი და დობანაკეს
 M 471, 1 მცირედთა დღეთა, რამეთუ ეძიებდეს ათაბაგსა და ვერა პოეს. ეგრეთვე
 შამქორელთა ითხოეს მშუიღობა და მონება.

აქა ვერა კეთილად განაგეს ზაქარია და ივანე და ესე ოდენ იქმნა დაკლება
 A 35, 2 b ამაჲს განმარჯუებასა შინა. იყო ვინმე კაცი სპარსი, შარვანშათ სიძე, სახელით
 მირმირან. ესე შემოხუეწით იყო წინაშე თამარისსა სათხოელისა რომლისათუისმე
 და მაშინ დავითს წინაშე სამსახურად; ამან მირმირან გამოითხოა განძა ცნობადმდე
 თამარისსა და მისცეს შესანახავად.

A 35, 2 b რაჟამს ბუბაქარ ცნა ჩუნთა ლაშქართა შინა მოსულა, გამოჩნდა და განძელთა
 ქალაქი მასვე მისცეს, თუცა მირმირან || შიშითა ცოცხალი გამოუშუეს, ვითარცა
 ვთქუ².

M 471, 1 მცირენი რა დღენი გარდაიდეს, წარმოემართნეს ლაშქარნი დიდად მოხარულნი
 ულიმიანისა ამას ზედა ძლევასა, ფრიად უფარესსა საქებელისა მისგან ძლევისა,
 რომელი იყო აღექსანდროს დარიოსს ზედა.

ვითარცა მიეახლნეს, მოეგებოდა მათ თამარცა, რამეთუ მისრულ იყო სარ-

7 ქცა: მესულიელთა.—9 ქცა: ვთქუ.—10 წუერთა ზიდვითა.—20 მისქ მას A.—26 ყო; შარვანშათ.—34 ულიმიანს A, ქცა: ულუმპიანისა.—35 აღექსანდროს—და A.

¹ ამ სიტყვის ზემოთ კითხვის ნიშნით (აღბათ სავარაუდოდ) იგ. ჯავახიშვილს ფანქრით უწერია: „გარდაიდეს“.

² ამ სიტყვის შემდეგ იგ. ჯავახიშვილს უწერია: „გაგრძელება იხ. ქცა 449“ (=ზ. კვიციანიძის ვამ.).

გის თმოგუელი მახარობელად¹. იხარებდა და მადლობდა ღმერთსა, მოიკითხვიდა თუთიფულსა, ვითარცა შვილთა. და იშუებდეს იგინი ხილვითა მისითა.

აიღესნეს ყოველნი ველნი გარემო ტფილისისა და ვერღარა იტყვედა კაცსა, ცხენსა, ჯორსა და აქლემსა. და ესეოდენ მოსაწყინელიცა იყო სიმრავლე იგი ტყუეთა, ვიდრემდის შეიყვანინა ქალაქად და ერთად კუტლად ფუქისად გაყიდიან; და ამისი მოწამე თუთი იგი ღმერთი უტყუელი არს, და რათა არა

A 35, a ტყუილი ვისმე და ზღაპარი გიჩნდეს თქმულნი ესე მომავალთა ¶ უამითა.

ნამდვილვე ერმიონთასა უსახელოვანოესთა მათ კაცთა, ზაქარია და ივანე, აიღეს ფანჯიაკი სამეფოდ და განაწყევს ველსა დიდუბისასა ავჭალამდი აქლემი ყულა ტუირითთა, ცხენი ყულა შეკაზმული. ეგრეთვე ყოველნი იგი ამირანი თუის-თუისითა დროშითა: პირველად ხალიფას დროშა, მერმე ათაბაგისა, შემდგომი—შემდგომად. გააწყუეს კართვან ქალაქისათა ჳევამდე გლდანისა ტყუე ყოველი. განიყვანეს თამარ, და შესწირეს, და ათაყუანეს ყოველნი იგი თავნი სპარსეთისანი. მერმე თუთიცა თაყუანის სცეს და მიულოცეს ბედნიერი მეფობა ღმერთისა მიერი.

M 471, u

ამისსა შემდგომად შევიდეს ქალაქად და თუთიფულმან იწყო ძღუენთა მოღებად: ოქროსა, და სამკაულისა, და ჳურქელთა მისთა, თულთა პატოსანთა, და მარგალიტთა უსასყიდლოთა, ჳაჭუთა, მუზარადთა, ჳრმალთა ამათ გამოცდილთა, ნაქსოვთა ფერად-ფერადთა ოქრო-ქსოვილთა ¶ და შესამოსელთა მრავალ-სასყიდლოანთა, ცხენთა და ჳორთა, მანიაკთა ოქროსათა თულაინ-მარგალიტიანთა, სულნელთა მრავალ-ფერთა და ალვისა ხეთა სპილენძებითა ტუირთულად. იწყეთ ანაკოფის ციხით ვიდრე ციხემდე გულისტანისა. სეფენი აზნაურთანი აღივსნეს ტყუეთა რჩეულთა და ყოველნი საგანძურნი ოქროთა, ვითარცა მიწათა, და ინდოურითა ქვითა, და პატოსანთა მარგალიტთა მიერ ურიცხუთა.

A 35, b

გარნა ამას ყოველსა ჳედა აღზუავნა გული თამარისი, განლანა ერთგზისცა წარბთა აღებითა, არა, ნუ იყოფინ! არამედ უფროსად დამდაბლდებოდა წინაშე ღმერთისა მმადლობელი და მოქენე მისგან წყალობისა. აღავსებდა ჳელსა მოქენეთასა და წიაღებსა გლახაკთასა, განამდიდრებდა სამზრუნველთა ეკლესიათა, ჳურივთა და ობოლთა, და დაერდომილთა, ჳოგად ყოველთა ჳედა ღმერთისა ჳელობად ¶ მიუპყრობდა მასვე ძღუნად, რომელმან არწუმნა განგებად, და მასვე მიუზღვიდა; რომელი მისცემდა მდიდართავან და მოუკლებელთა წიაღთა. ძუელთა აუშმგავსოებდა თუისთა საქმეთა ჳედა, ახალთა წარვდებოდა, ვითარცა უახლესთა მოქმედი, ვინა ჳემოვე ვთქუა, არამედ ჩუენ ვიტყოდით წერილისასა: «იყო სიმტკიცე ჳუეყანასა ჩუენსა და მშუიდობა თავსა მათასა».

A 35, a

არა ოდენ ჳუეყანა იავარსა განადიდებდა თამარ, არამედ სარწმუნოება განმტკიცებოდა, წმიდანი ეკლესიანი შეიმკობოდეს მრავალ-ფერთა მიერ სამკაულთა, ლოცვანი და ლამის-თევანი განმრავლდებოდეს, უფროსდა თუთი პალატ-

¹ მახარობელად] მახლობელად A.—8 ამდვილვე A, ჳკვა: ნამდვილვე.—9 ჳკვა: ფანჯიაკი; ავჭალამდ A.—12 გლდანისა A.—20 მანიაკითა A.—27 წარბსა A.—29 გლახათასა A.—32 რომელნი A.

² ეს სიტყვა შემოტანილია ტექსტში ივ. ჳ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ღ ი ს მიერ «კართლის ცხოვრებებიდან» (იხ. ჳიჭინაძის ჳამ. 448).

სა შინა წმიდათა საიდუმლოთა სრულ-ყოფანი მიმდემნი. და რასა მრავალსა ვი-
ტყოდი, წყალობა ღთისა განმრავლდებოდა და ყოველი სიბოროტე ეშმაკისა
მოუძღურდებოდა.

A 35, a b

ყოველნი ო თვის-თუის იღუწიდეს, რათამცა თამარ მოიმაღლეს და ვინა-
ცა გამოაჩინნეს საქმეთა შინა საქებელთა. მონაპირენი, რომელნი იყუნეს, დამე- 5
თა დღეთავე ზედა დართვიდეს შეუსუენებელად და, რომელნი შიგნით იყუნეს,
იგინი სანაპიროთა იაჯდეს. და ესევითარმან გულს-მოადგინებამან და მოსწრა-
ფებამან ყოველთამან ესევითართა მიაღწია სამეფო, რამეთუ პირველ ქუემოთი
სანაპიროი გაგი იყო, რომელნი ჰქონდა ზაქარიას მხარგრძელსავე, ვარამის მ-
მასა, და ესენი მუნ მონაპირობდეს, კაცი მკნენი, ბრძოლასა შინა მრავალ-გზის 10
გამოცდილნი და განმარჯუებულნი, და შიშითა ღთისათა და პატრონისა ერთ-
გულობითა დიდად საქებულნი.

A 35, a a

ამოღმართ ძორაკერტი იყო და ტაშირი, სადათ ზაქარია და ივანე დაი-
წყეს პირველად ბრძოლა ლომურად ზემოთ, და ქუემოთ, და ყოველსა ადგილსა.
და ზემოთ ჯავახეთი, სადა სარგის მვარგძელივე თმოგუელი და შალვა 15
თორელი მონაპირობდეს.

ზედათ არტანი, სადა მესხნი მონაპირობდეს, რომელთა შორის იყო ყუარ-
ყუარა, სამცხისა სპასალარი, ჯაყელი, კაცი დიდად გამარჯუებული და ერთ-
გული შეფეთა.

შავშეთით სპერით კერძო ფანასკერტი იყო. ამის შავშეთისა ღადოთა ში- 20
ნა გამოჩნდა ვინმე კაცი ასპანის-ძე, გუარითა არა უაზნო და ქცევითა და არ-
ცა დმერთო უბედო. ამას ზაქარია ერქუა სახელი. არცა სახელსა არცხუინა,
არცა პატრონისა წყალობა აუქმა თუისსა ზედა, გარნა საქებელთა ზედა შერ-
თო თავი. მარტოდ იქმოდა მრავალთა და დიდთა საქმეთა: აილო ბანა, ხახული 25
და სხუანი მრავალნი სახელოვანი ციხენი და ადგილნი.

A 35, a b

ქუემოთ, ნაპირის კერძ, გრიგოლის-ძენი, და უფროსდა ტბელი, და მჯატ-
ლის-ძენი მონაპირობდეს, რომელთა შიშითა განძას და ბარქდავს ყრმა მცირე
ვერ აუტირდებოდა დედასა, და ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკურის
პირსა საძოვარსა აწყენდეს.

ესე ყოველი რა გესმოდის, ნუ ვინ ესრეთ ჰგონებთ, თუმცა თუინიერ თა- 30
პარისსა რამე ქმნილ იყო ვისგანცა, არამედ ესრეთ განიგონე: მონაპირეთა მო-
ნახიან საქმე, ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი შემოადგომილი, ანუ ქალაქი
განსატეხელი, ანუ ქუეყანა მოსარბეველი, მოავსენიან თამარს და მან გასინჯის
საქმე იგი და გამოიკითხის. უკეთუ ღირს იყვის შეყარასა ლაშქართასა, უბრძა-
ნის ზაქარიას და ივანეს და შეყარნიან ლაშქარნი, თუით დავით მეფე წავიდის 35
და არა სადათ შემოქცეული ცუდად. უკეთუ უმცირესი რამე იყვის, მყის შესხ-
ნის დარბაზისერნი თუისნი და, ვითარ შევარდენტა, მოისაქმიან. თუ თუით
იყვის ანუ მინდორით ნადირობასა შინა, ანუ შინა მყოფსა და ესმის რამე და
შესხნის მქუნ ღირსნი მისნი. ვითარ არწივთა კაკაბნი, ეგრეთ დანაბნიან ყოველ-
ნი წინააღმდეგონი.

A 35, r a

არცა თუით უქმობდა და არცა თუისთა ყმათა აუქმებდა, ვითარ იგი იტყუის ვინმე ჟამთა-ალმწერელი ალექსანდრესთუის: და ამან სარწმუნო ყოს სიტყუა ესე, რამეთუ დიდად სახელ-განთქმულისა ქალაქისა ტფილისისა შემოსავალი წელიწდისა მისე და ერთსა წელიწადსა არა ეყვის გასაცემრად მახარობელთა ზედა. მრავალ-გზის ერთსა და მისვე დღესა სამნი და ოთხნი მოვიდიან მახარობელად. და, თუ ვითარ, ისმინე: ქმნიან რამე ერთი საქმე და წარმოავლიანიან ამბავი გამარჯუებისა და მას დღე მას არა დასჯერდიან და კუალად სხუა რამე წარუმართის დმერთმან და სხუაჲ მახარობელი წარმოგზავნიან. და სხუანი ესევითარნი აურაცხელნი არიან, რამეთუ ზემონი სხუათა იქმოდინ, ხოლო ქუემონი სხუათა და ერთსა შინა დღესა მოიწიის მრავალი ამბავი და მახარობელი, რომელთა ნამეტნავ არს და შეუძლებელ არს აღწერა, ესე დმერთმან უწყის თუით.

ამას ყოველსა დაუშრომელად რა მოქმედებდა, არა თუისისა ქონებისა გოქენე იყო და არცა სამეფოდ იმჭირვიდა ესეოდენტა ქალაქთა და ციხეთა, არამედ თუით მათვე მისცემდა, რომელთა აუცალოებდა, თუისთა ლაშქართა, ვითარ წამებს დიდი და სახელ-განთქმული სახლი სომეხთა მეფეთა ანისი, რომელი წარულო სპარსთა შანშაობისა თანა მრავალჟამ მათგან ქონებული, ხოლო სპარსთა სახლი სახელოვანი დვინი. და ამით ორთა პირთათუის იქმოდა: პირველად, რათა მარადის გული უთქუმიდეს და შური აიღონ ერთმანერთისა წარმართთა შეძინებისათუის თუისისა, და მეორედ, რათა მოუკუეთოს ყოველი მიზეზი, რომელი დაჰსნის ერთგულობასა.

და კუალად ამისთუის არა უდებებდა, || რათა არა მოცლილთა განსუენება[დ] სიჩუენედ განსუენ თავი და სხუათა განზრახვათა დამოეკიდენ, ვითარცა სიმდიდრით აღადებულთა, ანუ ერთი-ერთისა მტერობად მოიცლიდეს და ბრძოლად, ვითარ ყუესცა ვიეთმე დაწყებადსავე ამისსა მეფობისასა მისევე დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიპარტეთთა, შეილთა კახაბერთა, რამეთუ იწყეს ძმაკუად და ბრძოლად მახლობელთა თუისთა, რომელთა არცა მხილებულთა შეიგონეს, არცა წყალობათგან თამარისთა შეიკდინეს, არამედ ძუელად მათთუის დაწერილი კუალად განახლდეს და კუდსა ძილისასა, გინა კუთხსა ფლასისასა ემსგავსებოდეს, და ქმნესცა დიდი ბოროტი: და ორნი ძმანი ანტონი ჰყონდიდლისანი დაჯოცნეს და ამით შეაწუხეს მართალი იგი და განარისხეს თავთა თუისთა ზედა ღთით. და თამარ, რამეთუ ჰალასა მდგომამან, მოუწოდა ხუთთავე და სიბრძნითა თუისისთა შეიპყრნა და თუითო თუითოსა ციხესა შესუა, რათამცა განიწუართნეს. არამედ იგინი იგივე იყუნეს, ამისთუის ექსორია ყუნა მაკედონიას საბერძნეთისასა და მუნ მოსწყდეს ყიფიყუთა მიერ კარგნი ჰაბუქნი ბრძოლასა შინა, ვითარცა გუენა.

ამისთუის არავის მისცემდა მოცალებასა: ანუ იყუნიან წინაშე მისსა, ახარებდის და საბოძვართა ღირსებისაებრ სწყალობდის და განუსუენებდის, ანუ თუით წარუძღუის, იორის პირი და მტკურის პირი მოინადირის. მერმე დასოს შემოდგის და მუნ იხარებდიან ვიდრემდის თოვლმან არა დაამძიმის კარავი. მუნით სომხითს შემოვიდიან, ნადირობდიან ამოთა თამაშითა. და ამას შინა თუ

რამე საღით ესმის, ანუ ნახიან, ყოველად არა მომედგრდებოდეს განსუენებისა ძილითა, არცა რას დააცადებდეს, რომელიცა რა წინააღმდეგომი ცნიან სამეფოსა და თამარისა:

B* 11 აივსებოდა ნილოსი და იე¹ფობდა ეგვიპტე. მოაკლდებოდა ისმაელს, განიქტიენებოდა აგარ, იკურთხებოდა ისაკ, ესე სხვამან ვინმე სხვისათუის თქუა, და მე აქა ამისთჳს წინასიტყუა ვყოფ. რ² მ³ოაკლდებოდა ძალსა მოჰმადიანთასა, და მცემელიცა ებანსა. რ⁴ ქრისტიანეთა ორღანონი ჳმოვანობდეს კიღით კიღედმდე, დაშრტა სასოება მუსურმანთა, და ყოვლითურთ უღონონი ღონე ყოფდეს, რათა წყალობად მოიზიდონ წყალობის-მოყუარე თამარ: ამისთჳს კ⁵დ წარვიდეს ხალიფასა, არღარა პირჩელიერ, ა⁶დ ფ⁷დ შეცვალებით, და შესახვეწლთა სიტყუათა მოახსენებდეს, რათა ევედროს თამარს აღებად ხარკისა ოდენ, მახვილი მსრველი დააყენონ და ჯაჭვი შემკურული. რომელი—ესე ყო ხალიფამან, და წარმოავლინა მოციქული ორ-გზის ამის პირისათჳს, და დიდნი და მრავალ-ფერნი სამეფონი ძლუნენი უცხონი წარმოგზავნნა, და დიდითა სიმდაბლითა შემოეხუფუა თამარს, რათა აღიღოს ხარკი და დააცადოს რბევა. ისმინა თამარ ამისი ვედრება, და ესრეთ მისცა პასუხი: «ღმისრულებიეს თხოვა შენი, და, რომელთაცა ინებონ მშვიდობა || თავთა თჳსთა და მოიღონ ხარკი წინაშე ჩემსა, ამათდა მიმინიჭებიეს მეცა ცხოვრება, ვედრებისათჳს შენისა». რომელი ესე ესრეთ იქმნა.

ესე რა ეღმობდა საბერძნეთის სულტანსა ჩარასლანის ძესა, ნუქარდინს... ესე იჩემებდა ზაკთ სიყუარულსა, და გზავნიდა მოციქულთა მშვიდობისათჳს მრავალ-ჯამ, და ძლუნეთა შუენიერთა მრავალთა, ეგრეთვე თამარ ყოფდა ნაცვალ სახედ მოციქულთა წარავლენდა ძლუნითა.

B 12 გარნა იგი ზაკუასა [3]ფარვიდა, და ფიტთა მიერ განმსტრობად მოსწრაფე იყო ამის სამეფოსა... განახუნა პაპა-მამური საუნჯენი და გამოყარნა ოქრო[ნი] აურაცხელნი, და წარგზავნიდა ოქროთა შეკრებისათჳს მვედრობისა || და ამცნებდა, რათა ორსა კეცსა მისცემდენ გაჩენილისასა. და წარავლინნა ყოველთა საზღუართა თჳსთა, და იწყო მესოპოტამ[ია]ს და კალნეროთ, გალატიას, ღანგ-რას, ანკურიას, ისაირიას, კაბადუკიას, დიდსა სონხითს, ბითუინიას, და საზღვართ[ა] ფებლადონისათა, და არა დაუტევა თუინიერ დედაკაცისა სოფელთა შინა მათთა, ა¹დ ყოველნი აამკედრნა.

ხოლო თუთ ამირსწრაფე და მიიწია უჯად სახელდებულთა მათ თურქთა თანა, რომედ არიან მვენწნი ბრძოლასა შინა და არიან სიმრავლითა ე²ა მკალნი, გინა ჯინჭუელნი. ამათ მისცნა ოქრო[ნი] მრავალნი, და კ³დ ნიჭნი დიდნი ესეოდენ, ვიდრე ასი ათასი მვედარი შეკაზმული გამოიყუანა მათგან.

და კ⁴დ მიირთნა თჳნიერ ნებისა მათისა, შიშით, ეზინკელნი, ხალფერდელნი და კარნუ-ქალაქელნი: სალდუხის ძე, რომელსა, ნაცვლად მსახურებისა, მიუღო კარნუ-ქალაქი, და თჳსი ძმა დასეა მუნ.

¹ ამ ორ ასოზე წყდება თხზულება და შემდეგ ივ. ჯავახიშვილს უწერია: «გადრძელდა იხ. ქცა 463» (=ზ. ჰეგინაძის გამ.).

* «B» ლიტერით აღნიშნული გვაქვს კალაშვილისეული ნუსხის ახალი ნაწილი (გადაწერილი თვით კალაშვილის ხელით 1731 წ.), რომლის მიხედვითაც აღდგენილი აქვს ივ. ჯავახიშვილს ბასილი ენოს-მოძღვრის თხზულების II ნაწილი. (იხ. Q/207, გვ. 273 v).

ვითარცა იტყვიან გძღარბისათჳს ჳმელისასა, ჳვილ-მრავალ არს ცხოველი
ესე და, რაჲმს იხილნეს ნაშობნი თჳსნი მრავალად, გამოვალს ბუღით თჳსით
მართუებით და განაწყობს და გოდლოის მათ ჳედა; || ხ^ე ეგრეთვე ყო ნუქარ-
დინცა: იხილნა რა ფრიადი იგი სიმრავლე ჳეკრებულად, რომელი ჳემთა იყო
რიცხვისა, აღზუანა გულითა, მსგავსად სენაქერმისა, და ამაღლდა ღისა ჳე- 5
და, და არა ჳეიშინა პირველთა მათ მზაკუვართა ფიცთაგან და სიყუარულისა
ალთქმითა, არამედ ფრიად წინა-უკუმო განმზადა თავი თჳსი და მიიწია ქა-
ლაქად სევასტიანდ, და იწყო მუნ განმზადებად საომართა მანქანათა. მაშინ წარ-
მოავლინა მოციქული წინაშე თამარისა ესევეითართა წიგნითა:

«მე ნუქარდინ, სულტანი ყოვლისა ცასა-ქუეშისა, უმაღლესი, მიმსგავსებუ- 10
ლი ძლიერებასა ანგელოზთასა, თანამდგომი ღ^{თისა}, მოვლინებული დიდისა
მოჰმედისაგან, მოვიმცნობ მეფესა ქართუელთასა თამარს. ჳენ გიბრძანებია ქარ-
თუელთად აღებად ჳრმალთა, და ღ^{თისა}გან საყუარელისა ისლემთა ერისა დაჯო-
ცად და კ^დ ნათესავსა ჳედა თავისუფალსა დადებად ხარკი ყმებური. და აწ მე
მოვალ, რათა უსაჯო სამართალი სახლსა სპარსთასა || და განგწუართო ჳენ და 15
ერი ეგე ჳენი, არაოდეს კადრებად აღებად ჳრმლისა, რომელი ღ^{თისა} ჩუენდა
უბოძებია. ხოლო ცხოვნებით იგი ოდენ ვაცხოვნო, რომელმან უწინარეს მო-
სლვისა ჩემისა თაყუანის მცეს წინაშე კარვისა ჩემისა და აღიაროს ქადაგება
მოჰამად მოციქულისა, და უარ ყოს სჯული ჳენი და ჳელითა თჳსითა იწყოს წი-
ნაშე ჩემსა ღეწად ჳვარისა, რომელისა მიმართ დაგიცო ცული სასოებამ და აწ 20
მოელოდი ნაცივალსა ჩემსა, რომელი ჳეამთხვიე სპარსთა...»

წიგნი ე^ვა მმართვეს და იხილა თამარ, ყოვლად არაჲ აჩქარდა, ა^დ სხუა
ეხუეკია იქმნებოდა სიმდაბლითა, და განმარტა წიგნი იგი წინაშე ღ^{თისა}, სულთ
ითქუნა სიღრმით გულისაჲთ და ცხელთა ცრემლთა დამოდინებითა, და ღ^{თი-}
სა მიმართ სასოებისა დამდებელმან მერმე მოუწოდა, მაშინ რომელნიცა დახე- 25
დეს, და ეზრახა მათ ამის პირისათჳს, არცა ჩუქნად, არცა მდებრად, არცა გა-
ნუბრძნობელად...

და ბრძანება და წიგნები ქროდა მალე-მსრბოლთა. და ცოტა დღეთა შინა
შემოკრბეს, ე^ვა ვეფხნი სიკისკისით და ე^ვა ლომნი გულითა. ქრისტესა ღ^{თისა}
ესვიდეს და არაღა რა ყოენეს, ა^დ მსწრაფლ მიმართეს ტაძარსა ყოვლად-წმიდისა 30
ღ^{თისა}-მშობელისასა ვარძიას. და ვარძიის ღ^{თისა}-მშობელსა || წინაშე ცრემლით
შევედრნა სოსლან-დავით და სპაჲ მისი, და დროშა ბედნიერად ჳმარებული, და
წარგზავნა ვარძით ლაშქარნი, რომელთა თვთ თამარ უძღოდა წინა შიშულითა
ფერჯითა და ცრემლითა ასოვლებდა ლაწუთა თუისთა [და მიიწიენეს მახლობე-
ლად კარისა, და დადგეს დღისა ერთისა სავალსა]. და მაშინდა წარგზავნენა მოცი- 35
ქულნი სულტნისა, და წარატანა თანა მოციქულიცა თჳსი, და მიუწერა ნაცივლი
წიგნისა ესრეთ: «ძალსა ღ^{თისა} ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, და მა-
რადის ქალწულის მარიაჲს მევედრებელმან, და პატრონისა ჳვარისა სასოებით
მოსავმან, წარვიკითხე ღ^{თისა} განმარისხებელი წიგნი ჳენი, ჳი ნუქარდინ, არა გა-
სმიესა რამეთუ ყოველი ცრულ მფუტკავი სახელსა ღ^{თისასა} მის მიერ აღიხოცოს». 40

«შენ ოქროსა ჳეკრებულთა სიმრავლისა მევირეთა მინდობილ ხარ, უმეცა-
რი მსჯავრსა ღ^{თისასა}. ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩემთა სი-

მრავლისა, არცა არას სხვასა კაცობრისა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძალ-
 B 5 10 სა ლთისა, ყოვლისა მპყრობელისასა, || და შეწვენასა ქრისტეს ჯვარისასა, რო-
 მელსა შენ ჰგმობ,] ესე-რა შემოგეთუალა, წარმომივლენიან მვედრობა ქრის-
 ტეს მოსახელე, არა შენდა თაყუნის ცემად, ად დამჯობად ზუაფისა მაგის
 და ამპარტავანისა გულისა შენისა, რათა განისწავლო ლთისა მიერ, არღარა 5
 გმობად სახელსა მისსა. [იყავნ ნება ლთისა, და ნუ შენი]. ხ მე უწყი დაგსნი-
 ლობა მსახურთა შენთა, ამისთჳს წარმომივლენიეს მსახური ჩემი, რათა წიგნისა
 შენისა პასუხი ადრე მოგართუას და განვაკრძალოს, რ ჩემ მიერ წარმოვლენილთა
 სპათა ფერჯნი ესერა კართა შენთა ზედა დგანანა. მისცა ესევითარი წიგნი, და
 მერმე შემოსეს, და უბოძეს ნიჭი, და წარავლინა მოციქული სულტნისა. 10

ხოლო თვთ უბ[რ]ძანა თჳსთა სპათა ყოველთა შესხდომა, და თვთ განვიდა
 უმაღლესსა ადგილსა, სადათ ყოველთა ხედიდა, და დეარდა მუჭლთა თჳსთა
 ზედა დიდხან, და ტიროდა წინაშე ლთისა. მერმე, აღდგა რაჲ, იხილეებოდა
 B 5 11 იდგილი იგი ყოვლად დალტობილად ცრემლთაგან მისთა.

მერმე მოიყუნანა წინაშე თჳსსა ყოველნი წარჩინებულნი და უბრძანა ერის-
 15 თათა, რათ[ა] თვთ[ო]ქული მათი მოვიდოდის. წინაშე წმიდასა ჯუარსა და თა-
 ყუნის ცემდენ, და შემთხუროდიან. და იწყეს მოსლვად ყოველთა და ტირი-
 ლით ვედრებად და თაყუნის ცემად პატიოსნისა ჯვარისა, და ამბორის-ყოფად,
 და ეგრეთვე შემთხუევად ჳელსა თამარისასა. და ანდერძყოფდეს ყოველნი სახლ-
 თა, შვილთა და [ა]სულთა წინაშე მისსა. რ ერთითა ჳელით თვთ მას ეპყრა 20
 ძელი ჯვარისა, ხ ერთითა ეზოს-მოდღვარსა ბასილისა და ჯვარის მტვირთველ-
 სსა, სრულ იქმნა რაჲ ყოველთაგან ესრეთ თაყუნის ცემა ჯვარისა, მერმე
 თვთ მიიქუა პატიოსანი იგი ჯვარი ჳელითა თჳსითა, და ამვედრებულთა ზედა
 ყოველსა მვარსა ნიში ჯვარისა გამოსახა სამგზის, დაულოცა, და ეგრეთ წარე-
 მართნეს, მინდობილნი ლთისანი და თამარის ცრემლთანი. 25

ხოლო [წინა-მბრძოლად იყო ზაქარია მვარ-გრძელი, ამირ-სპასალარი, და
 B 5 12 ორნიცა იგი ძმანი ახალციხელ[ნი], შალვა და ივანე, დაღათუ შალვა მანდა-
 ტურთა-უხუცესი იყო, ჳიბერი და სხვანი თორელნი, და წარემართნეს ბასიან-
 ის კერძოსა და] მეფე თამარ მოიქცა სამცხეს, ოძრჯეს; და მოიცალა ლოცვად
 და მარხვად. მუნ იყო წინაშე მისსა თევდორე, ქართლისა კჳხი, კაცი წმიდა და 30
 სახიერი, და მას თანა მრავალნი ეპისკოპოზნი და მონაზონნი, ლთისა სათნონი,
 რომელთა თანა იყო იოანე შავთელი, კაცი ყოვლად განთქმული და საკუთირველი
 მოღვაწებათა შინა, რომელსა მოელო მადლი წინასწარ-მცნობელობისა. იყუნეს
 მიმდე[მ]ნი ღამის-თევანი და ლიტანიობანი.

აჲ ჯერ არს მოგსენებად, ვითარ იგი წყალობა ყო ლთნ ერსა თჳსსა ზე- 35
 და, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ლთის-მშობელისა[თა] და შეწვენითა ცხოველს-
 მყოფლისა ჯვარისათა. ხოლო ვითარ მიიწივნეს ქუეყანად ბასიანისა, მუნ იყო
 სულტანი დაბანაკებული. [ადგილსა ბოლოსტეკად წოდებულსა]. და იახლნეს რაჲ
 ბანაკსა სულტანისასა, [რა იყო რიცხუი ცხენისა, ჯორისა და აქლემისა მათი-
 40 სსა, კარვებისა და სარა ფარდა[გე]ბისა მათისა. მინდორი იგი ძლით იტევდა კარ-
 ვებსა მათსა] ესრეთ ნებიერად მდგომარე იყუნეს, და არაჲ უდგა დარაჯანი

სულტანსა; მუნ დააწყეს რაზმნი ქართუელთა, და [მუნ წინა-მბრძოლად იყო
 ზაქარია მვარგრძელი, ამირ-სპასალარი, და ახალციხელი შალვა და ივანე, და
 სხუანი თორღელი და ერთ კერძო აფხაზნი და იმერნი და ერთ კერძო ამერნი,
 მრ-კახნი. და ვითარ იხილნეს სულტანი], ცოტად ცხენნი ააჩქარნეს და მიმართეს.
 [ხოლო] ვითარ იხილნეს სპარსთა რ' აუზიდავად მიდიოდეს, დაავდეს სადგომი 5
 მათი, და სიმაგრეთა მიმართ[ნეს], რ' მიავლინა მათ ზედა ღ'თნ შიში დიდი.
 B 3 13: ხ' ქრისტიანეთა იხილნეს რად მათ წინაშე || გაქცეულნი, მიეტევნეს, და არად
 უტევნეს წარსლვად, ად გარემოიცივნეს, და [იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი,
 და განგრძელდა მყოვარ-ჟამ. და მოსწყდეს ორგნითვე [ურიცხუნი], ხოლო უმე- 10
 ტეს სულტნისა სპანი მოისრ[ველ]დეს. და ესოდენ განგრძელდა ომი, რომელ ცხე-
 ნი მოუკლეს ივანეს მსახურთ-უხუცეს[ს]ა, ზაქარიას, გრიგოლს და ახალციხელ-
 თ[ა] შალვას და ივანეს, და სხვათა მრავალთა თავადთა, და ეწინლა სივლტო-
 ლად მიდრიცქეს ქართუელნი, და ქვეითად დარჩეს რაზმსა შინა მწენნი [იგი]
 ქართუელნი. მაშინ ვითარცა იხილნეს ლაშქართა თჳს-თჳსნი პატრონნი ქუეთინი,
 გაწირნეს თავნი სიკუდილად, ჩამოვდეს ცხენისაგან და პატრონთა მათთა გვერდ- 15
 სა დაუდგეს, ქუეთინი ქუეთითა. და ეგრეთ ძლიერი ომი შეიქმნა, და ვითარ
 იხილა დავით მწენმან, მორიდა ერთ კერძო, და მარჯუენისა მვარსა მორიდა
 ზაქარია მვარგრძელმან, და ვითარ ქართუელთა განეშორნეს, რათა არა ცხენ-
 თა მათთაგან დაითრგუნოს ქვეითნი ქართუელნი, და მიმართნეს სპარსთ კერ-
 ძო. მსწრაფლ მიეტევნეს ერთ კერძო სოსლან-დავით, და ერთ კერძო ზაქარია, 20
 და ვითარ მგელნი ცხოვართა, ეგრეთ შეუცვივდეს ურიცხუთა მათ სპათა სულ-
 ტანისათა. და პირველსა მოკიდებასა და ხეთქებასა ვამლთასა მოხედნა წყა-
 ლობა-აურაცხელმან ღომერთმან მოსავთა ჯვარისათა, და განადიდა დიდება და-
 ვითისი და თამარისი ვარძიისა ღ'თის-მშობელმან. და ანაზად ეგეოდენი იგი
 სიმრავლე განსქდა, იძლია და დაიფანტა; და ამას გვანდა თუალ-გარდაუწოდომე- 25
 ლი იგი ლაშქართა სიმრავლე, ვითა მადნარი მიწითურთ მოგლეჯილ იყო, და
 განქცეულ, და სადეთცა თული მისწუთებოდა. ყოველგან ტყუთა მსგავსი ლაშ-
 ქარი იხილვებოდა ლტოლვილად.

ხოლო ჯერ არს ამისიკა მოხსენება, რომელ მეფისა თამარისა ოძრქეს ყო-
 ფასა შინა იყუნეს რა მიმდემნი ლოცვანი და ლამის-თევანი [ლაშქართა გამარ- 30
 ჯვებისათჳს]. დღესა ერთსა აღესრულა რად საღ'თო ჟამის-წირვა, ზემო ვსენე-
 ბულისა ევლოგის მიერ, განკუთრებდა დაეცა ევლოგის, და იწყო ღალადებად სუ-
 ლელის მსგავსად, და იწყო აღმართ ზედვად. და ვითარ ზედვიდა ევლოგი, და
 ვითარ აღმოხედვიდა, ვმა ყო ევლოგი კმუნვის სახედ, და სამ-გზის დაეცა. და მე-
 ცხელად აღზლტნა და აღიტყუელნა კელნი. «აჰა დიდება ღ'თისა, ქრისტე ძლი- 35
 ერ არს. კელნო ევლოგისნო, სპარსთაგან არად გეშინის, განუტყვეთ რათა ვი-
 დოდის მშუილობით». ცნეს ყოველთა, რამეთუ წინაშეწარმეტყუელებით იყო სი-
 ტყუა მისი. არამედ ევლოგი არავის რა გამოუცხადა საიდუმლო თჳსი, თჳნიერ
 იოანე შავთელსა. რამეთუ მას ოდენ აუწყა, ვითარმედ ჟამსა ამას მოსცნა ღმერთ-
 მან ბარბაროზნი საძლეველად კელთა ქრისტიანეთასა. და მყის წარვიდა ევლო-
 გი პირისაგან მათისა და დაიმაღლა.

მაშინ შავთელმან ჰრქვა: «უწყოდე, მეფეო, რომელ ჩვენება იხილა სულელ საგონებელმან, გარნა ჩვენებასა კეთილსა ვგონება. ამისთჳს დასწერეს დღე და ჟამი იგი.

ხოლო ქართულთა იხილნეს რად გაქცეულნი წინაშე მათსა მტერნი თჳსნი, აღსდეს ჰუნეთა მათთა და დევნა უყუეს, ჯოცდეს, ჩამოყრიდეს და იპყრობდეს, და სიმრავლისაგან ვერ ივლტოდეს, არამედ ურთიერთა[რ]ს დასთრავუნედეს].
 ხოლო [ერი ქართულთა უვნებელად დაიცვნა ღ'თნ, რომელ არცა ერთი ვარ-
 გი მეფისაგან შესწავებული კაცი მოკუდა. არამედ ეგეოდენი სიმრავლე სპისა მათისა ივლტოდა, და სპანი თამარისნი უვნებელად დაიცვნა მოწყალეზამან ღ'თისამან, რამეთუ] მისცნა ღმერთმან ჯელთა მათთა, და იხილვებოდა საქმე საკვირ-
 ველი, რ' თვთ იყუნეს მსახურ თჳსისა შეკურისა, რომელნი განერნეს პირსა მახვილისასა. უდიდესი მათი შეიკოროდა უმცროსისა მიერ თჳსისა, და უწარჩინებულესი მათი მოიყუანებოდა გამობმული ძუასა ცხენისასა, და ერთითა საბლით-
 თა ერთისა მიერ კაცისა შეიკუროდა ოცი, და თმითა გამოეზმოდა ერთი-ერთსა, ყრმისა მიერ მცირისა უმჯობესნი მბრძოლთანი მოიყუანებოდეს, ე'ა თიკანნი.
 გამოიძიენეს ყოველნი ადგილნი, და გაქცეულთა ჯოცდეს, ხოლო ნეშტთა, ვითარცა მართეთა ქათამთასა მოჰკრეფდეს, და გაუშვებდეს აურაცხელსა სიმრაველსა. რამეთუ ასსა სპარსსა ერთი ქრისტიანი ძლით მიხუდებოდა წარმო-
 მყუანელად.

[ესრეთ აღესრულა წინაღწარმეტყულება ევლოგისი, მასვე ჟამსა შინა ქმნი-
 თა, რომელსა შინა იხილა ჩვენება იგი]. ესეოდენი დიდებული ძლევა მიმდლა ღ'თნ ცრემლთა და სასოებისა სიმტკიცეთა თამარისათა. ხ' ესე ყოველი რად იქმნა, [მერმე] მოუტედეს ბარგსა მათსა, რ' არა იყო განცდა და აღრიცხვა სი-
 დიდეთა ოქროსა და ვეცხლისა ჭურჭელთა, ნაქსოვთა სიმრავლე აურაცხელი, სასმურნი ოქროსანი, თუალ-მარგალიტოვანი ლანკნები და პინაკები, ლავინები-
 სა და ქუთაბებისა თანა ყოვლითურთ სავსეთა მიუწოდომელითა ალაფითა. ხ' ცხენ-
 ჯორისა და აქლემებისა სიმრავლე, და კარავთა და საფენელთა [სიმრავლე], და ურიცხვება, რომელ დაყარეს, ვინმე აღრაცხნეს?

ამისა შემდგომად შეეკაზმა მოქალაქეთა დიდითა მოკაზმულობითა ქალაქი ტფილისი, და შევიდა თამარ და დავით ე'ა მშისა შარავანდები მიფენითა, და შვილეს დროშა ნუქარდინისი, შეიყუანეს პირველად ერ[ა]ზინკელი, და მერმე სხვანი იგი || წარჩინებულნი მოიყუანნა, რომელი სთნდეს, წინაშე თჳსსა თამარს. ყოველთა ნუგეზინის [ს]ცა და დიდად სახელოვნად სერთა ისტუმრნა და უბოძა ყოველთა შესატყუისად, და წარგზავნა ციხეთა შინა ყოველსა ადგილსა, თვნიერ ერ[ა]ზინკელისა. ა'დ იგი დაიპყირა ტფილის[ს] პატიმრად, პირველისა პატივისა და სიყუარულისა მისისა წილ, ხ' უკანასკნელ ეგეოდენი სახელოვანი კაცი და დიდებული განყიდა ნალად ცხენითა, რომელი ესე ყო თამარ პატივად სახლისა თჳსისა, და დიდებად, რომელი ესე არაოდეს ვისგან ქმნილ იყო დასაბამითგან.

აწ კ' აღივსნეს ყოველნი საგანძურნი სამეფონი ოქროთა და ჭურჭლითა 40

ოქროსათა, რ მიწისა მსგავსად შეასხმიდეს ოქროსა. ხ თუალს[ა] და მარგალიტსა წყუთი დასდებდეს, ხ ოქრო-ქსოვილთა ბერძულთა და სხვათა ნაქსოეთა ძვირად საპოვნელთა, ეა ცუდთა სამოსელთა ურიცხუთა დაყრიდეს. ხ ვეცხლის ქურქელთა არღარა აქუნდა პატივი || პალატსა შინა მეფისასა, რ ყოველი ოქროსა და ბროლისა წინადაგებული იყო, ინდოურთა ქუთათაგან შემკობილი, რომლითა აღაესნა ყოველნი ეკლესიანი, რომელთა მიანიჭა სამსახურებელად სიწმიდეთა საიდუმლოთასა და აღაესნა ყოველნი ჯეღნი მთხოველთანი, და განაძღნა ყოველნი გლახაკნი და აღუესო წიაღნი მათნი უხუებით.

ესრეთ აღიდებს ღმერთი მადიდებელთა თუსთა, ესრეთ აღამაღლებს წინაშე თუსსა მდაბალთა, ესრეთ შემწე არს მოსავთა მისთა, ესევეთართა ნიჭთა მიანიჭებს მინდობილთა თუსთა. რ არარად სხვა დაიდვა თამარ გულსა თუსსა, ვითარ «დასაბამი იგი სიბრძნისა, შიში ღ-თისა», და სამართალი და წყალობა სწორად ყოველთა ზედა:—

იყო ღღეთა მისთა სიმართლედ და მრავალი მშვიდობ[ა], განეფინა მადლი ბაგეთა მისთა: ამისთჳს აჟურთხა იგი ღ-თნ უჟუნისამდე და დაადგრა თავსა მისსა გვრგვნი პატიოსნებისა, და დასდვა წელთა მისთა მახვილი ძლიერებისა || და წარემართა სუფევად უჟუნისამდე, ჭეშმარიტებისათჳს, სიმშუილისა და სიმართლისა.

ჯერ არს ამისთჳს[ცა] თქმად, ედ ქმნეს მრავალთა დედათა ძლიერება, ად არა ესრეთ ვითარ ამან: არა ვერაგობისა ღონითა აცხოვენებდა ერსა თუსსა, ად სიბრძნისა წინაძღობითა, და სიმართლითა, და უმანყოფითა დავითიანითა, სიმშუილითა იაკობის მსგავსითა, სიუხუითა აბრამისებრთა, მოწყალებითა იესოს ღ-თისა მსგავსითა, და სიმართლითა მისისა მობაძვითა.

ღღეთა შინა თამარისთა არავინ გამოჩნდა მიძლავრებული მეცნიერებითა მისითა, არცავენი დასჯილი, თვინიერ ძუელისა სჯულისა, რომელი ძეს ავაზაკთა ზედა, ძელსა ზედა ჩამორჩობა. თუთ არცა ვის ღირსსა სიკუდილისასა და არცა პატივისასა მიეგადა თანანადები, არცა ვინ ბრძანებთა მისითა ასო-მოკუეთილ იქმნა, და არც სიბრძნითა დაისაჯა, თვნიერ გუჴან, ღირსი სიკუდილისა, რომელი ორგულებით განდვა და კოლას სადმე მითათა შინა || ავაზაკობდა მალ[ვ]ით. ესე შეიპყრეს მთიბავთა თივისათა, და დავით მეფისა წინაშე მოიყუანეს. ხ მან იცოდა დიდი მოწყალება თამარისა, ამისთჳს მისსა შეკითხვამდის თუალნი დასწუნა; ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთასა.

[ხოლო] არაოდენ თუსსა სამეფოსა შინა იყო კეთილიანობა, ად ყოველთა ქრისტიანეთათჳს, და, რომელნი მძლავრობდეს ქრისტიანეთა, ყოველთა მიუმცნო. რათა აზადად იყუნენ, და ფიცხლად დამორჩილდენ შიშითა და სიყუარუ- ღლითა მისითა.

წარავლენდის სარწმუნოთა თუსთა და და[ა]ვედრის ესრეთ: «იწყეთ აღექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბი[ი]სა, სინისა მთისა» და მათ კერძოთა ეკლესიათა, მიწანსტერთა, და ერთთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდის; ხ იერუსალიმისათჳს რადლა სავმარ არს თქმად, რ წარგზავნიდის ამათ ყოველთა შინა ეკლუ-

სიათა ბარძიმ-ფეშუბუმბსა, და სიწმიდეთა საბურავებსა, და მონაზონთა და გლახაკთაჲს ოქროთა აურაცხელთა. ტყუენი განათავისუფლნის და ხარკი ერისა თუთ უკუნ სცის, და ყოველი ჭირი დაჭირებული აღილის მათგან: კდ კერძოთა ელადისათა და მთაწმიდას, ეგრეთვე მაკედონიისათა და პეტრიწონს, კერძოთა თრაკი[ი]სათა და კოსტანტინეპოლის მონასტრებთა, რომანას და ყოველგან, 5 კდ ისაგრიას, კურუსეთს. და ყოველთა მათ სანახებთა შავისა მთისათა, და კუბარისათა. ესე ყოველნი აღავსნა ქუელის საქმითა, რომლისათჳს ისმინეთ თუ ვითარ მოხედვიდა ოთი საქმეთა მისთა:

მოიწინეს ოდესმე, ჩუელებისაებრ ქუელის-მოქმედებათაჲს ამისთა მონაზონნი შავისა მთისა[ნი] ანტიოქიით და კუბარისა ჰალაკით, ეგრეთვე მთაწმი- 10 დით და მრავალთა ადგილთათ. შეიწყნარნა თამარ ჩუელულებისაებრ ვითარ ანგელოზნი, და მრავალ დღე არა გაუშვნა, მერმე მისცნა ყოველთა დიადი, და აღავსნა ყოვლითა საქმრითა. უქანასკნელ მათგან[თა] უფრო[ს] შორიელთა მისცა დიდძალი ოქრო, თუთ მათჳს და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად. 15 წარვიდეს მონაზონნი იგი და მიიწიენეს რამ კოსტანტინეპოლ[ქ]დ, ესმა მეფესა ბერძენთასა აღექსის, ანგარსა, რომელმან ძმასა თჳსსა ისაკს თვალნი დასწუნა, და მეფობა წარუღო. ესე ყოვლითურთ ბოროტი კაცი იყო, და შეუტყუებელი მეფობისა, გარნა უმეტეს ანგარებისათჳს საძაგელ იყო ყოველთა მიერ. იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს და წარუღო მათ მონაზონთა.

ცნა რამ ესე თამარ მეფემან, ნაცვლად სხვა უფროსი წარგზავნა მათ წმი- 20 დათა მიმართ, და ამით უმეტეს არცხინა ეშმაკი. ხ⁴ განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი, და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიზონი, სამიონი, სინოპი, კერასუნდი, კიტ[ი]ორა, ამასტრია, არაკლია, და ყოველნი ადგილნი ფებლალონი[ი]სა და პონტოსანი, და მისცა ნათესავსა თჳსსა აღექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შჳლსა, რომელი იყო მაშინ 25 თუთ წინაშე თამარ მეფისა შემოხვეწილი.

ხ⁵ ესმა ესე ფრანგთა, რ⁶ მოელო ბერძენთა შეწევნა აღმოსავლეთით, გამოვიდეს ვენეტკანი და წარუღეს სამეუფო ქალაქი, მეფობისა თანა, და შეიხვეწა უბადრუკი იგი აღექსი ბორღალეთს, თჳსისა სიძისა თანა. [ხოლო] იხილა რამ ბორღალელთა მეფემან, სიძემან მისმან, შეიყუანა ციხესა ერთსა, და დაუფინა 30 წინაშე მისსა ოქრო დიადი, და ჰრქუა ესრეთ: «აჲა აღექსი. გულის-სათქუემელი იგი შენი, ოქრო ესე მიიღე, თჳნიერ სხვისა რომლისამე საზრდელისა, და წყლისა წილ. რ⁷ ამისთჳს წარსწყმიდე სახლი სამეუფო ქრისტიაანეთა, და დაწსენ თუთ-მპყრობელობა ბერძენთა». და ესრეთ მოკუდა საწყალობელი იგი სიყმილითა, დაკლებული შეწევნისაგან ოთისა. 35

ესრეთ საზარელ იყო თამარ მტერთა ზედა, და კდ ესეოდენ ტკბილ და ძვირ-უქსენებელ. ვიდრემდის ესმა რამ ესე ყოველი, დიდითა ტკივილითა იგლოვა, დაღაჲუ არა | ღირს იყო მისთჳს || ტკივილი. რ⁸ რაცა ვის არა ჰეშმარითებით აქუნდეს, არა იპყრობს დიდხან[ს], გარნა თამარ უცხოსაცა ზედა და დაგრდომილ- 40 თა ლმობიერ იყო ტკივენულობად და წყალობად, ვითარ აწ ამასცა ზედა.

4 პეტრიწონს| პიტრიდოზოს B.—23 კერსენდი B.—25 კომნიანოსსა B.

- B ბ 12 ხ. წარმოვთქუათ ესეცა რ' ოცდამესამედ, გინა თუ მეოთხედ, აღმავლო-
ბასა მეფობისა მისისა წელიწადსა, იკითხა საქმე კარისა. რ' მრავლითა ჟამით-
გან ჰბრძოდეს სარგის თმოგუელი, შალვა თორელი და მესხნი, გარნა ვერარაჲ
ლონე ქნეს აღებისა. რ' ზამთრის მკსინვარებისაგან და სიცივისა უღონო იყუნეს
მიდგომად. ხ' ჟამსა ცინვისასა, წყლისაგან განყინულისა ვერ შეუძლებდეს ბრძო- 5
ლად, გარე შემოუხუნეს ყოველნი ციხენი და სოფელნი, და იგი მხოლო მარტოჲ
ჰქონდათ სპარსთა. ამისთვის განიზრახა კეთილისა გონებითა და წარავლინა
დავით ზემოთ[ა] ლაშქრითა. წაატანა ზაქარია და ივანე, და უბრძანა რათა
დადგენ მუნ და ძლიერად ეომონ. და ხანგრძლად იქმნა ესე, და თვით თამარ
დადგა ჯავახეთს, და მუნ მოელოდ[და] ამბავსა მათსა. 10
- B ბ 13 ხ' იგინი მივიდნეს და ებრძოდნენ უკუე შეკრულსა მას დობესა წყლისა-
თვს და მრავალთა შინა დღეთა განტეხეს ადგილი იგი, და გამოიცალა წყა-
ლი, და მის თანა უმრავლესნი მოქალაქენიცა. ხ' დაშთომილთა მათ ითხოეს
დავითისგან, რათა თვით თამარ მივიდეს და მას მიენდვნენ. რ' ეშინოდათ სი-
ტყუათა მათათჳს გინებისათა, რომელთა ციხით გამო იტყოდეს პირველ. 15
- მაშინ მოაქსენეს ესე ყოველი თამარს, ხ' იგი მივიდა, და მოიხუნეს ცი-
ხოვანთა მათ კლიტენი წინაშე ძისა მისისა გიორგისა და მერმე თამარის წინა-
შე და ითხოვდეს შვიდობასა და ფიცსა, რათა არაჲ განსცეს კარი, ვითარ ანი-
სი და ღვინი, ად სამეფოდ დაიმჭიროს. ამისთჳს მისცა სიტყუა მტკიცე და
უბრძანა ძესა თჳსსა გიორგის, რათა შევიდეს და თვით მოითულოს ქალაქი და 20
ციხე. რომელი ესე ესრეთ იქმნა, და ესევ ერთი ქალაქი და ციხე თჳსად დაიმ-
ჭირა, მათ ყოველთაგან რომელნი აიხუნა, ზორაკერტით რახსამდის, გაგით გან-
ძამდის და ჯავახეთით || სპერამდის.
- B ბ 14 და ვისცა [ოცდა]ათვიდმეტსა წელიწადსა შინა ესე საქმენი თამარისგან
გემცრებიან, და მისთა ლაშქართაგან წელიწადისა ერთისა დღეთა, თუ ვითარ 25
შეუძლო ყოველთა მათ გარეთა, აღმართ ოდენ შეხედენ, რომელნი ჰქონან ცი-
ხენი მწარგრძელთა ოდენ სახლთა ზემოთ და ქუემოთ.
- B ბ 4 მხიარულად ამბისაგან მეტყუელი პირი აწ მწუხარებისა მიმართ მიიქცე-
ვის. რ' მეგულეების აწ [მე] წარმოთქმა ყოელისა სოფლისა საგლოველისა ამ-
ბისა. 30
- B ბ 5 ნაქარმავევს გარდმოდგა მეფე თამარ, და მის წინაშე იყუნეს ყოველნი
დიდებულნი და წარჩინებულნი, და იურენა და განაგნა საქმენი სამეფოსა თჳსი-
სანი, და უფროსლა ეკლესიათა და მონასტერთანი. და მუნ, დგომასა შინა გა-
მოაჩნდა სენი რამე მომაოვრებელი ჩუენი, რომელი დღითი-დღე დამძიმდებოდა 35
- B ბ 6 ||მის ზედა და დიდხან ფარვიდა, რათა არავინ შეაწუხოს, გარნა ურგებელ იქმ-
ნა რაჲ ჰირი, არა მიმთუალველი კურნებისა, მაშინლა განაცხადა, რ' დედო-
ბრივმან უძღურებამან განგრძობილთა შინა მწედრობათა არა თავს იდგა შეუ-
მოხუეველად მიშუება ავებულებისა.
და აქა საბრალობელ მიჩნს დიდად ერთგულნი იგი კაცნი, თუ ვითარ
უგულბელს ყუეს ეგოდენი ტკივნეულობაჲ მისი: რ' წარმოიყუანეს კუბოთა 40

ტფილის[ს], და შემდგომად მცირედთა დღეთა ენებათ ჩუეულებისაებრ, რათა დასოს განვადენ. ისწრაფდეს და მუნ წარიყვანეს კუბოთავე და დიდად განძნელდა სენი იგი უწყალო. და კდ წარმოიყუანეს აგარათა ციხესა.

და უქმ იქმნა მის ზედა ყოველივე ბუნებათა გამომეძიებლობა მკურნალთა ჯელოვნებისა. ამისთვისა იყუნეს თუთ მუნ და ყოველსა ადგილსა ლიტანიობანი და ლამის-თეანი მიმდემნი, და ცრემლთა დინებანი იხილვებოდეს მდიდართა და გლახაკთანი სწორებით. გარნა განჩინება წინა-აღსუღვამელი იყო და დღემან B დ : იწყო მირტეკად და მზემან დასლვად და ჰაერმან სხვად ფერად უფერულობა. და ცისკარსა დღისასა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა: დაწუთა მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭნობად, და თულთა მათ ტბაებრ მზისა შემცხრო- 10. მელთა, სიმრუმედ მიმართეს. ჯელთა მათ მსახურებისაგან გლახაკთასა არაოდეს დაცხრომილთა, იწყეს მოუძღურებად, და ფერჯთა მათ, მარადის ღთისათჳს მამუშრალთა, იწყეს შედრეკად, და ყოველნი ნიშნი ცხოვრებისანი სხვად და სხვად ფერად იხილვებოდეს.

ზოგადმან უღონოებამან მოიცვნა ყოველნი, და არა უწყოდეს [თუ] რაძცა 15. ყუეს. მთავარნი იცემდეს პირთა, გლახაკნი იტყებდეს თავთა, [და ისხმიდიან თავთა ნაცარსა და მტვერსა. ათაბაგი] ¹ და ყოველნი ნაცვლად მიუპყრობდეს თავთა თჳსთა, და შეიღთა თჳსთა ღთსა, და ითხოვდეს მის ზედა მომავალსა სიკუდილსა. «რათა მარტო ესე დარჩეს, და ჩუენ ყოველნი მოგვსრენ». ამას B დ : ვმობდეს და მოეცვათ სასუენებელი პალატისა, რომელსა აქუნდა ცხეღარი უბად- 20. რუკებისა ჩუენისა, და ღონე თუმცა იყო, ეცდებოდეს, რათა არა აუფლონ სიკუდილსა შემოსლვად. რა იყო, რომელი არა იხილვებოდა მუნ, ანუ სავედრებელთაგანი, გინა მწუხარებათა. გარნა მწოდებელი კართა ზედა დვა და მბრძანებელისა წინააღდგომა შეუძლებელ იყო.

ბრძენმან ბრძნისა ნეტარება აქცა მოიღო თამარ. რ შემოუწოდა ყო- 25. ველთა სამეფოსა თჳსისათა წინაშე მისსა, განიმტყიცა თავი თჳსი, და მწენდ მჯდომარე ესრეთ ეტყოდა: «ძმანი ჩემო და შეილნო, მე ესერა მივიწოდები მსაჯულისაგან საშინელისა, უსაშინელისა უფროს მეფეთა ქუეყანისათა, რომელსად მიუხუნის სულნი მთავართანი. თქუენ ყოველნი თუთ მოწამე ხართ, რ თავისა ჩემისა თანა მაქუნდა სიყუარული თქუენი, და სარგებელსა და სათნოსა B დ : თქუენსა არა დავაკლე თუთოეულისაებრ არზანგისა, გიდრემდის განგებითა ღთისათა ვიყავ თქუენ ზედა მეფედ. აწ || მეცა წარვალ მამათა ჩუენთა თანა, გზასა ჩემგან უცხოთა, ბრძანებითა საშინელითა და განყოფითა საკუირველითა. გვედრები ყოველთა, რათა მარადის კეთილსა შინა იყუნეთ მაქსენებელ ჩემდა. აჰა ესერა, მკვდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებ, რომელნი მომცნა ღთნ შეილნი ჩემ- 35. ნი, გიორგი და რუსუდან. ეგენი მიიხუნით ჩემ წილ. და მავათ აღმოვიცოს დაკლებული ჩემი». შევედრნა ყოველთა და მიუთულნა წინაშე ხატსა ქრისტესსა და ჯვარსა ცხოველს-მყოფელსა. და მერმე უკანასკნელ ჳმა აღმოუტევა, და ყოველთა მშვიდობა მისცა, ესრეთ მეტყუელმან: «ქრისტე ღთო [ჩემო] მხოლოო, დაუსრულებელი მყოფეო ცათა და ქუეყანისაო, შენ შეგვედრებო სამეფოსა ამას, 40.

¹ სიტყვები «და ისხმიდიან—ათაბაგი» ხელნაწერში არაა და აქ შემოტანილია ივ. ჯავახიშვილის მიერ „ქართლის ცხოვრებიდან“ (იხ. ზ. კვიციანიძის გამ. გვ. 487).

რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას პატიოსნითა სისხლითა შენითა მოს-
 ყიდულსა, და შეიღოთ ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემ-
 საა. || მაშინ განვიდეს ყოველნი მწარედ მტირალნი. და თამარ დაიძინა ძილი
 იგი მართალთა, თითუნა იანვარსა ი^ს, და აღესრულა მზე ქართლისა, და საფ-
 ლავამან სადიდებელად თვსად დაგვაჭირვა ცხოვრება მსოფლიო ყოველთა ქრის-
 ტიანეთა. 5

აქა რალა ჯერ არს თქუმა, გარნა ბავთისა^ა ლაღადი, ბნელი უნათლო, და
 გლოვა უნუგეშინის^მცემო. რამეთუ, ვინ იყო ნუგეშინის მცემელი, ოდეს მწუ-
 ხარება ზოგადი იყო ყოველთათჳს. სატუხელ იქმნა პირი ქუეყანისა, აღებარსა
 ყოველთა [თავისა დიდებისა თანა], თმანი^ცა, მხოლოდ სახელისა ოდენ შქო-
 ნებელთა. ჳმასა თანა ვაებისასა ქუესკნელნიცა შეიძრნეს. ყოველნი ფლასითა
 [შეიმოსნეს]. ესრეთ გვანდა, დაღათუ ჩუენ თანა იგლოვცა და ყოველი სოფელი. 10

მაშინ უკუე აღმოიყუანეს და მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადგეს, და
 მერმე უკანასკნელ თვთ მუნვე გელათს დაამკუიდრეს თვსსა შინა სამარხოსა,
 დიდ^სებად მუნ შინა დაამკუიდრებულთა პაპ^ათა და მამათა მისთა, სახელოვანთა
 დიდთა მეფეთა თანა. 15

იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა. რ^ა განბიძენეს ბაგენი მათნი,
 რომელთა პირსა შინა პირველ სხვა არარაჲ მოაქუნდა, ვითარ თამარ. რ^ა სახლ-
 თა ზედა აკროსტიხორად თამარის შესხმათა დასწერდეს, ბეკედთა ზედა და და-
 ნათა და არგანთა შეამკობდეს და ზედა თამარის ქებასა დასწერდეს. და ყო-
 ველთა პირნი ერთბამად მზა იყუნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებულო-
 ბისა სიტყუა აღმოთქუნან: ყრმანი მემროწლენი, განაბებასა შინა ორნატისა, თა-
 მარის ქებათა მეღექსეობდიან. ერასს მყოფნი მეგებენი, გინა მეჩანგენი თამარის
 შესხმათა მუსიკობდიან: ფრანგნი და ბერძენნი, ზღუასა შინა მენავენი, ნიავ-კე-
 თილობათა შინ^ა, თამარის ქებათა იტყობდიან, ესრეთ ყოველნი სოფელ^{ნი} სავსე
 იყო მის მიერითა ქებითა, და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაცა ოდენ სახე-
 ლი მისი ისმიოდეს: 25

|| ხ^რ საქმეთა მისთათჳს რადლა საჳმარ არს თქმად. რამეთუ კიდიო-კიდედ-
 მდე განისმნეს, ვ^ა თ^ვთ მოწ^ამე არს ყოველი ჩუენ მიერ ხილული,
 სიტყუისაებ^რ ბრძნისა. 30

არა უცთომელობა მგონიეს, ძალისა უზეშთაესსა მეცადინობა. რ^ა დაწყე-
 ბა და აღსასრული ამის კელ-ყოფისა სრულებით ესრეთ¹ ჩანს, ვ^ა სიმძიმესა და
 პატიოსნებასა თანა ოქროსასა ქარქუეტისა ნამუსრევი. რ^ა ვინ რა წარმოთქუას
 ღირსი ამისთჳს, გინა რად ვინ პირველ აქოს, ანუ რომელი უკანასკნელ: სიმ-
 დაბლე უზომო, სიმაღლე შეუსწორებელი, სიმშვიდე საქებელი, სიმქისე ჯგრო-
 ვანი, ლმობიერება მოწულე, მოწყალეება თანა-ლმობილი, უმანკოება უზაკუელი, სი-
 წრფოება უსიცრუო, სახიერება ზოგადი, სიუხუე აღუზუავებელი, და თავი ყოე-
 ლისა კეთილისა, შიში ღ^ოთისა და მსახურება მისი შეუოგრულებელი, რომელი
 ესე ყოველი ამან ესრეთ მოიგო ვითარ ვერცა ერთი სხვამან ვერგინ. და წამებ^ს 35

4 აღესრულა] აღივსო B.—24 მუსიკელობდიან B.—32 ესრეთ> B.

¹ ეს სიტყვა ხელნაწერში არაა და აქ ტექსტში შემოტანილია იგ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს
 მიერ „ქართლის ცხოვრებიდან“ (იხ. ხ. ჭიჭინაძის გამ. გვ. 489).

B დ 13 ამას ყოველი მახლობელი სამეფო[ნი] გარეშემო ქართლ[ისა], თუ რაოდენნი და-
 გლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძღავრებულთა უკუნ სცა
 სამეფო თჳსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდ[კე] თჳსად კჳალად აგნა და რა-
 ოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამისი მოწამე არს სახლი 5
 შარვანშეთი, და დარუბანდელთა, ლუნძთა, ოვსთა, ქაშავთა, კარნუ-ქალაქელთა
 და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყუნეს
 და მტერთაგან უზრუნველობასა.

ბ სჯულთა მიმართ საღთოთა ვინ იყო ესრეთ მოშურნე, გინა სიმდაბ-
 ლით თავისა მომდრეკელ. რ თევდოსი დიდი[ისა]ცა აღემატებოდა ლოცვანი და
 ლამის-თევანი, რომელნი პალატსა შინა ამისსა აღესრულებოდეს, საეკუელ მიჩნს 10
 მეთუდაბნოეთაგანცა; ბ მარხვისათჳს რალა ვთქუა, რამეთუ წესი იყო მონაზონთა
 და მამხილებელ უდებთა ერი პალატისა.

B დ 11 ეგრეთვე სიყუარულისათჳს ხუცესთა და მონაზონთასა—ნამეტნავი არს თქუ-
 მად. რ წესიერად ცხორებულნი კაცნი || მარადღე იყუნიან წინაშე მისსა, და
 მახლობელად სასუენებელისა მისცის მათ საყოფელი, და თუ ზრდიდის საზრ- 15
 დელითა და ყოვლითა საჳმრითა, რაცა უნებნ. და უკეთუ მათგან[ნი] ვინმე იყუის
 უძღურ, თუ მივალნ მოხილვად და ნუგეშინის ცემად, და თუ განუშადებნ
 ცხედარსა და სარეკელსა.

ბ გლახაკათჳს განეჩინეს სარწმუნონი ზედამდგომელნი, და ყოვლისა
 სამეფოსა მისისა შემოსავალნი, რაცა იყო შინათ და გარეთ, ყოვლისა ნათალი 20
 გლახაკთა მიეცემოდა დაუღლებლად ერთისა ქრთილისა მარცვლად[დ]მდეცა. და
 ამას ყოვლადღე არაჲ გონებდა ქუელის საქმედ მითუაღვად წინაშე ღთისა. რ
 რაჲემს მოიცალის მარტოებით ყოფად, მყის აღიღის სასთუელი, გინა საკერავი,
 და ნაშრომსა მას თჳსთა ჯელთასა ხუცესთა და გლახაკთა განუყოფნ თჳსითა 25
 ჳელითა.

B დ 15 ესრეთ წესითა გამტკიცებულთა ღთისა სახიერისა სათნოებისათა არა
 დაწყებისასა მიხედვიდა, ად აღსასრულისათა, და, ვითარცა მზე, სწორ პატი-
 ობით ყოველთა ზედა განუტეობდა ნათელსა თჳსთა შარავანდელთასა. ესრეთ 30
 წყალობითა ყოველთათა მოიზიდვიდა წყალობად ღთსა, ესრეთ გამოიფრდი-
 დი ჟამთაგან, ესრეთ განაძლიერებდა მეგობართა, დაღათუ არარათ სიკრუით
 მოგებულთა და უსამართლოთა.

არაოდეს მომედგრა ჟამისაგან, არცა უდებ იქმნა ოდესცა განგებისა-
 თჳს, არაოდეს აუქმა გონება მისდა რწმუნებულთა საქმეთათჳს, არა დაუშობიმა
 კრთომას[ა] გონებისასა დაშინდელი რამე ჩუკენბრვიე, არცა სიმდაბლესა მი- 35
 რიდა, არცა სიმალესა განეყენა, არცა სიტკბოება ჟამიერი უმოთხო ყო, არ-
 ცა საშინელება შეურაცხ ყო. ყოველი განზავა ყოვლითა, რათა სრულებით
 ჳლისაგან წარმოჩინოს თავსა შორის თვისსა.

ულაფრობა მარსებელისა განუგმობელად დაიცვა, რათა მოქცევსა შინა
 სიმრგულისასა არარად ელმად და უცხოდ მიდრეკს, არცა გარდაყუეს სავესებ-
 ჳლისა || დუღილსა შინა, არცა მოაკლდა შთაზიდვასა შინა საბღისასა. ად მე- 40

ტად დამდაბლებულმან გონიერისა გონებისაგან იყოვლისფერა გარემოდ, რათა მოქცევი თვისი მარტიობით იხილვოს გუარსა შინა ანაგისასა შეუყოფელად ვნებათა: ისურვებდა და სასურველ იყო, იწადებდა და საწადელ იყო, იქებოდა და საქებელ იყო, ნატრიდეს და სანატრელ იყო, და არარაჲ იყო სხვა კეთილი, რაცა იგი არა იყო მის შორის.

5

გლანია 5. ა

ურჩნი თვისნი დაამდაბლნა და მოყუარენი აღამაღლნა. არა იღუწიდა უმეზობლობასა, არცა «შერთვდა სახლსა სახლსა ზედა, არცა ავარაკსა ავარაკსა ზედა უცხოხსა», ად თვისი მამული ძუელი კმა იყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მიხუეჭელად: ვინადგან სამართალმანცა ზენამან უბჭო მართალსა, არა შინებით უთქმიდა მეზობელთა, ად უფროსლა სცვიდა მაშინებელთაგან, და მათ საშინელ ყოფდა მტერთა ზედა. შორს განიოტა წურბლისსა მსგავსი ვერ-მადღრისობა, ვინ არა გესლოვან [ყო] ნაყოფი, და არცა ბუგრიან ნაშრომი.

10

B გ 1

ბჭედ ჯდა შორის თავისა თვისისა და მეზობელთა მეფეთა, არა მიუხედავ ბრძოლისა, არცა გარდადებად უღელსა მძლავრობისასა ურთიერთას, და სახედ თავსა თვისსა მისცემდა და ამისთვის მათ ზედა მეორე სოლომონ იქმნა მეფეთა შორის; და არა ერთი საბელი¹ აღძრა სურვილად, ად ყოველნი, რომელთა ესმა სახელი მისი, ვინა დიდთა მეფეთა, ცუდად შერაცხეს თვისი ბედკეთილობა ვერ-ხილვისათვის მისისა. კნინლა და ყოველსა ზღვასა აღმოიწრედდა თვისად, ვითარცა ღრუბელი ყოველთა ზედა მსხურებელი ტკბილთა წუიმათა.

15

B გ 2

განიგემენ ყოველნი მატიაენი ძუელთა, ვინა ახალთა მეფეთა საქებელნი, რ გარდაემატა თამარის საქმეთა ჭეშმარიტებით საქებლობა სიტყუისაებრ პირველთასა; სიხარულ იყო თხრობათა შინა, და კდემულ განმსწავლელობათა, შემეხებელ ღბილობით და განწურთიელ სიტკბოებით, მგუემელ მოწყალებით და თემრისხუელ || თანა-ღმობით, რათა ყოველად ყოველითურთ განუგებობელ ანუენოს თვისება ღთისა. სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელ, და მეორეთა დამწუფელ: აღვირი იყო უწესოდ მკრთომულთა და დეზუდებთათვის, კანონი სირცხვილისა მოხუცებულთა, და კუერთხი რკინისა ჭაბუკათვის. კეთილ-მაგალთა სიბრძნით მცველ, ხ მბორგალეთა თუალ უხუად მგუემელ.

20

25

მღრდელთ-მოძღვართა შეიმოსეს შიში, მღრდელთა დაიცვეს წესი თვისი, მონაზონთა მოიგეს წესიერი მოქალაქობა, მთავარნი განმსწავლენს სიწმიდით ცხოვრებად და სიმართლით სლვად, ერნი განმტკიცენს შიშით მონებად ღთისა, და ერთგულებით უფალთა თვისთა. ყრმანი განიწუართენს მოძაგებად უჯროსა უსჯულოებისა, რ ბილწებამან უწესომან და ყრმებრივმან მბორგალებითმან ბორგნეულობამ[ან] ვერცა თუ კუალი პოვა || დღეთა თამარისთა. ვინა და თუთ გინებადცა შორს იყუნეს, რომელნიცა პალატსა შინა ღირს იყუნეს, გინა კარსა ზედა მსახურებად: —

30

35

ფს. 96. 11

ესრეთ ყოველსა შინა დაცვითა ღთისა მცნებათა[თა], მოიგო წყალობა ღთისა, და აკურთხა ღთნ ცხოვრება მისი, და განამრავლა ნაყოფი მისი. და თავ-წარსნმულ ყო, მსგავსად წერილისა, «ნათელი აღმოუბრწყინდა მართალსა» განთიადისა-თანა, და მეუღლე მისი სიხარული შუადლე. და მწუხრი; მშვიდობით

40

15 მეორედ B.—21 თამარის] სამარის B.—25 პირველ B.

¹ ამ სიტყვის წინ იგ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ს უწერია კითხვის ნიშანი.

B ე.

დაიძინა სარეცელსა ზედა თვსსა. შებამკუნა ღმერთმან დღენი მისნი პატროსნებით, და უაზნი მისნი მშვიდობითა. და მეფობასა შინა მისსა არა შეიქცუა პირი მისი. ამისთვის, რა არაოდეს გარე მიაქცია კელი სათხოველისაგან ქურღვთა, ობოლთა და მიმძლავრებულთასა. წარვლნა დღენი მისნი სიხარულსა შინა, ამისთვის, რა მარად დღე ახარებდა ყოველთა გლახაკთა და დაევრდომილთა; და უკანასკნელ წარვიდა მამათა თვსთა თანა, და შეეძინა, || და დაუტევნა ორნი შვილნი, გიორგი და რუსუდან, შუენიერნი, საწადელნი, სასურველნი, და საქებელნი, შექმნით სეფის პირნი, გონიერებით აღსავსენი, სიბრძნით შემკობილნი, და ყოველთა სიკეთითა სრულნი. თამარ, ოცდა სამთა შინა წელიწადთა შეაწყუდია¹ ყოველი გვარი კეთილ-მეფობისა.

10

აქა დავგვი სიტყუისა წყობა, მომავალთათვს ყოველთაგან აწინდელთა სხვათა ძლევისა მიცემითა ყოველთა და უმჯობესად შესატყუის შესაძლებელად სახის-მეტყუელებასა უაღრესისა [სიტყვისასა] პოვნით, და ამისთვის ჩუენ მიერ დღემლით პატივ-ცემით დავიდუმოთ.

¹ ამ სიტყვის გასწვრივ ივ. ჯ ა ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ს ა შ ი ა ზ ე კ ი თ ხ ვ ის ნ ი შ ა ნ ი უ წ ე რ ი ა .

საკუთარ სახელთა საკიმეველი

აბრაში, აბრაჰამი (ბიბ.) 19 20, 30 22.

აგარათა ციხე 33 3.

აგარი (ბიბ.) 25 5.

ადარბადაგანელი ამირანი 21 8.

ადარბადაგანი 20 6.

აფრიელი 21 8.

აეკალა 22 8.

ალექსანდრია 30 37.

ალექსანდროს, ალექსანდრე (მაკედონელი 356—323 წწ. ძვ. წ. აღრ.) 21 35, 24 2.

ალექსი, (III) ბერძენთა მეფე, ანგარი (1195—1203 წწ.) 31 16, 22, 22, 31.

ალექსი კომნიანოსი, ანდრონიკუს შვილი (მას თამარმა 1204 წ. გადასცა ბიზანტიის შვიი ზღვის სანაპიროები) 31 25, 29, 31.

ამასტრია 31 28.

ამერნი 28 3.

ანაკოფის ციხე 22 22.

ანდრონიკე, ალექსი კომნიანოსის მამა (1182—1185 წწ.) 31 25.

ანისი 24 16, 32 18.

ანეჟურია 25 20.

ანნა (ბიბ.) 19 20.

ანტიოქიის მონაზონნი 31 10.

ანტონი გლონის-თაეის-ძე «რომელი პირველ ჭყონდიდელ იყო და მიტყულ ქართლისა კათალიკოზმან მას მისტაცა» 18 19.

ანტონი ჭუთათელი, საღირის-ძე (ეპისკოპოსი) 15 13, 33.

ანტონ ჭყონდიდელი 18 27, 20 30, 24 30.

არაკლია 31 21.

არტანი 23 17.

ასპანის-ძე ზაქარია 23 22.

ასურასტანელი (ბიბ.) 20 23.

აფხაზნი 28 3.

ახალციხელი ივანე 27 27, 28 2, 12.

ახალციხელი შალვა 27 27, 28 2, 12.

გაბილონი 17 18, 19 18.

ბანა (ციხე) 23 21.

ბარდავი 23 27.

ბასიანი 27 28, 37.

ბასილი ეზოს-მოდღუარი 27 21.

ბაღდადელი ამირანი 21 7.

ბაღდადი 19 11.

ბერძენთა მეფე (ალექსი ანგარი) 31 22.

ბერძენნი 31 27, 33, 34 24.

ბერძულნი ოჭრო-ქსოვილნი 30 2.

ბითუინია 25 29.

ბოლოსტევი (ადგ.) 27 38.

ბორღალეთი 31 29.

ბორღალეთის მეფე, კოლოიანი (1196—1207 წწ.), ძმა პეტრეს და იოანესი, ალექსი ანგარის სიძე 31 30.

ბუბაქარ, (აბუ-ბაქრი ყიზილ არსლანის-ძე, ირანის ადარბადაგანის მფლობელი) 21 11, 23, 30; 22 11 ბურდუხანი, ოსთა მეფის ასული, თამარ მეფის დედა 14 16.

მაგი (ადგ.) «რომელი ჰქონდა ზაქარია მკარგრძელსავე, ვარამის მამასა» 23 3, 32 22.

მალატია 25 28.

გამრეკელი, ამირსპასალარი 18 9.

განძა (ქალაქი) 20 33; 21 16, 28, 30; 23 27; 32 22.

განძელნი 21 30.

გარეჯა (მონასტ.) 18 19.

გედეონი (ბიბ.) 20 22.

გელათი (მონასტ.) 34 11.

გიორგი მეფე (III), დემეტრეს ძე, თამარის მამა 13 2, 9; 14 15.

გიორგი, თამარის-ძე (ლაშა) 19 25; 32 17, 20; 33 30; 37 7.

გლდანის გევი 22 12.

გრიგოლი 28 12.

გრიგოლის-ძენი (განძისა და ბარდავის მონაპირენი) 23 26.

გუზანი, ავაზაკი. ორგულობისა და ავაზაკობისათვის დისაჯა დავით სოსლანის მიერ თვალთა დაწვით 30 28.

გულაბერიძე ნიკოლოზ. იხ. ნიკოლოზ გულაბერიძე.

გულისტანის ციხე 22 22.

ღავით ალმაშენებელი, გიორგი II-ის ძე 13 2, 15, 20; 14 15.

ღავითი (ბიბ.) 14 3.

ღავით სოსლანი, თამარ მეფის ქმარი, ოსთა მეფის შვილი, ჩამოხველობით ბაგრატიონი 17 27; 18 1, 17; 21 10, 13, 28; 23 35; 28 17, 28, 24; 29 30; 30 30; 32 8, 11. იხ. აგრ. სოსლან ღავითი.

დავითიანი „და დადგეს სუიანი ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი 13 23. „შუმანკოებითა დავითიანითა“ 30 21.

ლარია III, კოდომანი (366—330 წ.წ. ძვ. წ. აღრ.) ალექსანდრე მაკედონელმა 333 წელს ისე სასტიკად დაამარცხა იგი ისოსთან, რომ ცოლშვილიც უშწოდებდა დაატოვებინა 21 35.

დარუბანდელი 35 5.

დარუბანი 20 5.

დასო (ადგ.) 24 30; 33 2.

დემეტრე I (დავით აღმაშენებლის-ძე, გიორგი

III-ის მამა) 13 2; 14 13.

დვინი 24 18; 32 10.

დიდი სომხითი 25 20.

დინდუბე „შეიყარნეს დიდუბეს და შერთეს დავით თამარს“ 18 1.

დიდუბის ველი 22 5.

მგვიბტე 25 1.

მელოგი 28 32, 33, 31, 35, 38, 30; 29 20.

მხეცია (ბიბ.) 26 23.

მხეციელი (ბიბ.) 20 23.

მხინკელი 25 30. იხ. აგრ. ერზინკელი.

ელადა 31 1.

ელისაბედი (ბიბ.) 19 21.

ემორის შთა (ბიბ.) 19 17.

ერანელი 21 8.

ერაყელი 21 8.

ერაყი 19 13.

ერზინკელი 29 31, 35. იხ. აგრ. ერზინკელი.

ერმიონი 22 8.

ჭარამი, ზაქარია მწარგრძელის-ძე 23 5.

ჯარძია (ჭაძარი) 26 31, 33; 28 21.

ვახტანგეთი: „დადგეს სუიანი ტახტი ვახტანგეთი“ 13 23.

ვენეტკინი 31 23.

ზაქარია მწარგრძელი, ამირ-სასალარი, სარგის ამირ-სასალარის-ძე 18 30, 31; 21 25; 22 8; 23 5, 13, 25; 27 30; 28 2, 11, 15, 20; 32 8.

ზორაკერტი 32 22. იხ. აგრ. ძორაკერტი.

შრ-კახნი 28 1.

თამარ, მეფეთ-მეფე, გიორგი III-ის ასული 13 1, 8, 11, 22, 25, 32; 14 2, 13, 17, 10; 15 15, 30; 16 11, 21; 17 1, 5, 7, 9, 16, 21, 25, 31, 32; 18 1, 13, 15, 32, 33; 19 3, 6, 10, 19, 22; 20 8, 19, 37; 21 27, 29, 36; 22 13, 26, 36; 23 3, 30, 33; 24 28, 32; 25 3, 9, 11, 15, 22; 26 9, 12, 22, 33; 27 19, 25, 29; 28 24, 29; 29 22, 30, 32, 37

30 11, 21, 31; 31 11, 19, 20, 26, 30, 38; 32 9, 14, 16 17, 21, 31; 33 25; 34 3, 18, 19, 20, 21, 22, 23, 25; 36 21, 31; 37 9.

თამარის სპანი 29 9.

თედლორე, ქართლის კათალიკოზი 27 30.

თევდოსი I (ბიზანტიის იმპერატორი (379—395 წ.წ.), ქრისტიანობის დიდი მცველი და მობაგე) 35 9.

თორელი 27 28; 28 5.

თრაკიის მონასტერი 31 5.

თურქმანი 23 32.

თურქნი 23 28; 25 32.

იაკობი (ბიბ.) 30 22.

იერუსალემი 15 3; 30 30.

იესო (ქრისტე) 30 22. იხ. ქრისტე. ივანე მწარგრძელი, მსახურთ-უხუცესი და ათაბაგი, ძე სარგის ამირ-სასალარის 18 30, 31, 37; 21 25; 22 5; 23 13, 35; 28 11; 32 5; 33 17.

იმერნი 28 5.

იმერულ სუანი „ამას ჟამსა მცირედ რამე აღიძრნეს იმერულ-სუანი“ 18 10.

ინდოეთი 20 1.

ინდოეთის მზარეული 21 5.

ინდოური ქვა 22 24; 30 35.

იოანე შავთელი „კაცი ყოვლად განთქმული და საკუთრველი მოღწეწებთა შინა“ 27 32; 28 33; 29 1.

იორის პირი 23 28; 24 30.

ისაგრა 25 20.

ისაგრიის მონასტერი 31 5.

ისაკი (ბიბ.) 25 5.

ისაკი, ჰერმენა მეფის ალექსი ანგარის ძმა (1185—1195 წ.წ.) 31 16.

ისლეთა ერი 26 13.

ისმელი 25 1.

კაბადუცია 25 20.

კალონერო (გეოგ.) 25 25.

კარი (გეოგ.) 26 33; 32 3, 18.

კარნუ-ქალაქელი 25 37; 35 5.

კარნუ-ქალაქი 25 38.

კახაბერთა შვილი, რიცხვით ხუთნი, რომლებიც როგორც ანტონ ჭყონდიდელის ორი ძმის მკვლელი და გაუსწორებელი პირნი, გადაასახლა თამარმა საბერძნეთის მაკედონიაში და იქ დაიბრუნენ ყიფიანებთან ბრძოლის დროს 24 26, 32.

კერასუნელი 31 23.

კისის ვევი 18 27.

კიტორა 31 23.

კლარჯეთის მონასტერი 18 25.

კოლას მივები (იქ იმალებოდა ავახაჯი გუზანი) 30 29.

კონსტანტინე დიდი, ბიზანტიის იმპერატორი (324—337 წწ.); (მისი ბრძანებით ქრისტიანობა სხვა სარწმუნოებებთან ერთად გამოცხადებულ იქმნა ნებადართულ რელიგიად) 15 1.

კონსტანტინეპოლუ, სამეფუო ქალაქი 31 15, 28.

კონსტანტინეპოლის მონასტერი 31 3.

კუიპრის მონასტერი 31 7.

კუიპრის ქალაქის მონაზონნი 31 19.

კურუსეთის მონასტერი 31 6.

ღაზია 31 22.

ლიმონი 31 29.

ლიპარიტეთი „დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტეთთა“ 24 38.

ლიბთ-იქითნი (იგულისხმება ჯარი) 31 22.

ლუბია 30 38.

მადიამელნი (ბიბ.) 20 22.

მაკედონია საბერძნეთისა (იქ ექსორია უყოთა მარამა „შვილთა კაბაბერთა“) 24 31.

მაკედონიის მონასტერი 31 1.

მანოე (ბიბ.) 19 20.

მარიამ (ღვთის-მშობელი) 26 38.

მარლა (გეოგ.) „ბაღდადის კერძ მარლამდის“ 19 11.

მეატლას-მენი (განძისა და ბარდავის მონაპირენი) 23 26.

მესხნი 18 12; 23 28; 32 3.

მესოპოტამია 25 28.

მეტეხის ტაძარი 20 32.

მთაწმიდის მონაზონნი 31 19.

მთაწმიდის მონასტერი 31 4.

მირიან, მიქაელ კათალიკოზის მამა 18 7.

მირიორან სპარსი, „ზარვანშათ სიძე 21 27, 31.

მიქაელ ქართლისა კათალიკოზი, რომელსაც „ქიონდიდელ-მანუყვერელობა და მწიგნობართუხუცესობა მოვეყარა“ 16 3; 18 6, 8, 20.

მოამედ, მოამად, მოციქული 26 12, 18.

მტკურის პირი 23 28; 24 39.

მესულელნი 21 7.

მცხეთა 34 18.

მღუიე (მონასტერი) 18 25.

მეარკრძელთა ციხენი 32 27.

ნაბარმაგვი 32 31.

ნიკოლოზ გულაბერისძე „რომელსა სიმდაბლისა ძალითა ეჯმნა ქართლისა კათალიკოზობისაგან“ და იერუსალიმს წასულიყო 15 5, 13, 38.

ნილოსი 25 4.

ნუქარდინი, საბერძნეთის სულტანი, ჩარასლანის-ძე (რუქანადინი, რუმის სულტანი) 25 20; 26 3, 10, 36, 39; 27 10, 38, 39; 28 1, 4, 10, 21; 29 31.

ოკსთა მეფის შვილი 17 27. იხ. დავით სოსლანი ოცენი 14 14; 35 5.

ოდრე 27 29; 28 20.

პეტრიწონის მონასტერი 31 4.

პონტო 31 24.

რაჯი 32 22.

რომანას მონასტერი 31 5.

რომ-გურიო (გეოგ.) 20 4.

რუქანადინი იხ. ნუქარდინი.

რუსთა სამეფო 16 12.

რუსი (გიორგი რუსი, სუზდალის მთაერის ანდრია ბოგოლუბსკის შვილი, თამარ მეფის I ქმარი) 17 3, 6, 12; 18 11.

რუსუდან დედოფალი, თამარის მამიდა 13 10; 16 11, 20; 17 23, 27.

რუსუდანი, თამარ მეფის და, გიორგი III-ის ასული ხარჭისკან 13 18.

რუსუდან, თამარის ასული 19 27; 33 36; 37 7.

საბაოთელი (ბიბ.) 13 21.

საბერძნეთის მაკედონია იხ. მაკედონია საბერძნეთისა.

საბერძნეთის სულტანი 25 20. იხ. ნუქარდინი.

სალღუხის ძე, რომელსაც რუქანადინმა (ნუქარდინმა) „ნაცვლად მსახურებისა მიუღო კარნუ-ქალაქი და თესი ძმა დასუა მუნ“ 25 37.

სამარჯვანი 20 4.

სამთავეისი 18 7, 27.

სამისონი 31 23.

სამცხე 27 29.

სამცხის სასალარი ყუარყუარა, ჯაყელი 23 18.

იხ. ყუარყუარა ჯაყელი, ჯაყელი ყუარყუარა. სარგის მეარგრძელი, თმუგულსა, ამირ სპასალარი (ზაქარიას და ივანეს მამა) 18 30; 20 35; 22 1; 23 13; 32 3.

სეფასტია (ქალაქი) 26 8.

სენაქერემი (ბიბ.) 26 5.

სილიმი (გეოგ.) 19 17.

სინას მთა (მონასტერი) 30 35.

სინოპი 31 23.

სკითორნი („გამოაჩნდებოდეს რუსსა სკითორნი, ითარ ნაღებნი“) 17 2.

სოლომონ (ბიბ.) 13 22; 36 15.

სომეხნი სჯულითა 18 36. „სიმრულე სჯულისა სომეხთასა“ 18 38.

- სოფელთა მეფენი („სახლი სომეხთა მეფეთა ანი-
სი“) 24 14.
- სომხთი 20 18; 24 41; დიდი სომხთი 25 29.
- სოსლან დავითი 26 22; 28 20; იხ. დავით სოსლანი.
- სულტანის სპანი 28 21; იხ. ნუქარდინი.
- სპარსეთი 19 30, 39; 20 1.
- სპარსეთის თავნი 22 14.
- სპარსთა სამთავრო 20 3.
- სპარსთა სახლი სახელოვანი დეინი 24 18.
- სპარსთა სახლი 26 15.
- სპარსი 21 26.
- სპარსნი 19 35; 20 3; 24 17, 18; 26 15, 21; 28 3, 19, 39;
29 18; 32 7.
- სპერი 32 28.
- სპერით კერძო 23 20.
- სუანი („ამას ეამსა მცირედ რამე აღიძრნეს იმე-
რელ ს უ ა ნ ნ ი“) 18 10.
- სუბაკი 19 17.
- სულტანი 26 38; იხ. ნუქარდინი.
- სულტანი შამირამელთა და ზუარასნელთა (გიორ-
გი III-ის დის, რუსუდანის ქმარი) 13 11.
- სულტანისა (რუქნადინის) სპანი 28 19, 21; იხ. ნუ-
ქარდინი, სულტანი.
- ტაშირი 23 18.**
- ტბელი (მონაპირე) 23 28.
- ტრაპიზონელი 35 6.
- ტრაპიზონი 31 28.
- ტფილისი 18 2; 24 3; 29 30, 35; 33 1.
- ტფილისის გარემო 22 4.
- უღიშპანი ძლევა („წარმოემართნეს ლაშქარნი
დიდად მოზარულნი უ ლ ი მ პ ი ა ნ ს ა ა მ ა ს
ძლევას“) 21 34.
- უჯა (თურქნი) („და მიიწია უ ჯ ა დ სახელდე-
ბულთა მათ თურქთა თანა“) 25 22.
- ფებლალონია 31 22; სახლვარნი ფებლალონისანი
25 30.**
- ფანასკერტი 23 20.
- ფრანგნი 31 27; 34 24.
- ქალაქი 22 16. იხ. ტფილისი.**
- ქალაქის კარი 22 12. იხ. აგრეთვე ტფილისი.
- ქართველი 18 8.
- ქართლი 34 4; 35 1.
- ქართლისა თემი 14 18.
- ქართლისა კათალიკოზი 16 2; 18 20. იხ. მიქაელ
ქართლისა კათალიკოზი.
- ქართულნი, ქართველნი 13 13; 26 12; 28 1, 19, 18,
19; 29 3, 7; 34 17.
- ქაშაგნი 35 5.
- ქრისტე 20 26; 26 29; 27 2, 4; 28 35; 33 37, 39.
- ღანგრა (გეოგ.) 25 28.**
- ღუმნი 35 5.
- ჟიჯიყანი 24 35.**
- ჟუარყუარა, სამცხის სპასალარი, ჯაყელი 23 18.
იხ. სამცხის სპასალარი ჟუარყუარა, ჯაყელი.
- შავთელი (იოანე) იხ. იოანე შავთელი.**
- შავშეთი 23 20. შავშეთისა ლადონი 23 20.
- შავი მთა (მონასტერი) 31 6.
- შავი მთის მონაზონნი 31 10.
- შალვა ახალციხელი, მანდატურთ-უხუცესი 27 27.
- შალვა თორელი 23 15; 32 5.
- შამირამელი 13 11.
- შამქორელი 21 24.
- შამქორი 21 1.
- შანშაობა „რომელი (ე. ი. ანისი) წარუღლა სპა-
რსთა შ ა ნ შ ა ო ბ ი ს ა თ ა ნ მ ა ა ვ ა ლ ა მ ა მ ა თ -
გ ა ნ ქ ო ნ ე ბ ო ლ ი“ 24 17.
- შარვანშა (აღსართან) 21 26.
- შარვანშეთი „ამის მოწამე არს სახლი შ ა რ -
გ ა ნ შ ე თ ი“ 35 5.
- ჩარასლანი, საბერძნეთის სულტანის (რუქნადი-
ნის) მამა 25 20.**
- ძორაკერტი 23 18. იხ. ზორაკერტი.**
- ჭალა (ადგ.) 24 32.**
- ჭიბერი, მანდატურთ-უხუცესი 19 4; 27 28.
- ჭყონდიდელი ანტონი 20 8. იხ. ანტონ ჭყონდი-
დელი.
- ჭყონდიდი 18 27.
- ხალფერდელი 25 36.**
- ხაზული (ციხე) 23 34.
- ხუარასნელი 13 12.
- ჯავახეთი 23 18; 32 19, 23.**
- ჯაყელი ჟუარყუარა, სამცხის სპასალარი 23 18.
იხ. სამცხის სპასალარი ჟუარყუარა ჯაყელი

ფანა 5 მონ.

3/48
43

Басили Эвсолозгвари
ИСТОРИЯ ЦАРИЦЫ ТАМАРЫ

Издание
акад. И. А. Джавахишвили